პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

№ 287 (11593)
ხუთშაბათი
10
დეკემბერი
1959 წ.

ფასი 20 კაპ.

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს ნომერში:

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში. — საფეიქრო მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ (1-ლი გვერდი).

გულითადი შეხვედრები (1-ლი გვერდი).

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ. — მიწის ბარაქა — მარჯვენის მადლი. — **შ. შაველაშვილი, კ. ჭანტურიშვილი.** — ასე უხდიან ამაგს. — **ა. ლაბარტყავა.** — რატომ ფერხდება სოფლად მშენებლობა? (მე-2 გვერდი).

მეცნიერება და ტექნიკა (მე-3 გვერდი).

დ. კასატკინი. — მილიონთა გოდება (მე-3 გვერდი).

პ. ჭიოკაძე. — განა ესეც მამაა?! (მე-3 გვერდი).

საერთაშორისო თემაზე. — **ი. ორლოვი.** — შიში ცუდი მრჩეველია (მე-4 გვერდი).

უცხოეთისა და ადგილობრივი ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

საფეიქრო მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილების შესაბამისად სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს საფეიქრო მრეწველობის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებათა საკითხი. ამ საკითხზე მიღებულ დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საფეიქრო მრეწველობის მუშაკები სისტემატურად აუმჯობესებენ საწარმოო სიმძლავრეთა და ნედლეულის გამოყენებას, სრულყოფენ წარმოების ტექნოლოგიას, მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ პროდუქციის გამოშვების გეგმებს, აუმჯობესებენ ქსოვილების ხარისხს და მნიშვნელოვნად გაფართოებულ ასორტიმენტი. ამასთან ერთად, დადგენილებაში აღნიშნულია, რომ საფეიქრო მრეწველობა ჯერ კიდევ ვერ აკმაყოფილებს მოსახლეობის გაზრდილ მოთხოვნილებას მელანჯოს, ხაოიან, ყაკარდის და მთელ რიგ სხვა ქსოვილებზე, საკმაოდ არ უშვებს ზედა და სასავლელ ტრიკოტაჟს, აგრეთვე ბავშვთა წინდებს, ბევრი ქსოვილისა და ტრიკოტაჟის ნაწარმის ხარისხი და გარეგნული სახე შემდგომ გაუმჯობესებას მოითხოვს.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, მინისტრთა საბჭოსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს უზრუნველყონ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1959-1965 წლების საკონტროლო ციფრების შესაბამისად, რომლებიც სკკპ XXI ყრილობამ დამტკიცა, 1965 წელს გადიდონ წარმოება: ბამბის ქსოვილებისა — 7.700-8.000 მილიონ მეტრამდე, შალის ქსოვილებისა — 500 მილიონ მეტრამდე, სელის ქსოვილებისა — 685 მილიონ მეტრამდე, აბრეშუმის ქსოვილებისა — 1.485 მილიონ მეტრამდე. ტრიკოტაჟის ნაწარმისა — 940 მილიონ ცალამდე და წინდისა — 1.250 მილიონ წყვილამდე.

საფეიქრო საქონელზე მოსახლეობის მოთხოვნილების უკეთ დაკმაყოფილების მიზნით დასახულია მნიშვნელოვნად გაფართოდეს ნაწარმის ასორტიმენტი და გაუმჯობესდეს მისი ხარისხი. ყოველი ღონისძიებით განვითარდეს და წახალისებულ იქნას ახალი სახეობებისა და სტრუქტურების, ლამაზი გადერადებისა და მოხატულობის ქსოვილების შექმნა; გადიდდეს ნატურალური და ქიმიური ბოჭკოების ნარევისაგან საფეიქრო ნაწარმის გამოშვება; მიღებულ იქნას ღონისძიებანი სპეციალური ქიმიური დამუშავების ქსოვილების მასობრივი გამოშვებისათვის; 1960 წლიდან გამომუშავებულ იქნას შტაპელის საკოსტიუმე, მელანჟის, ჯრელად ნაქსოვი და ისე გამოყენანილი საპრანგე ქსოვილები, რომ ცოტას იკლებდეს და არ იმუშებოდეს, საწვიმარის ქსოვილები წყალამსხლეტი გაუღენთით, ხოლო 1963 წლიდან გამოშვებულ იქნას ყველა საკაბე შტაპელის ქსოვილები, რომლებიც ცოტას იკლებდეს და არ იმუშებოდეს, ხოლო შალის ქსოვილები — ჩრჩილგამძლე გაუღენთით.

დადგენილებით დასახულია შვიდწლედში გადიდდეს გამოშვება:

ბამბის ნახვეწი და მელანჟის ქსოვილებისა, ჩითისა, ბაიკისა, ზედა ტანსაცმლის ზამშის ტიპის ქსოვილებისა, ველვეტონისა, მაუდისა — 1,6-1,9-ჯერ, ველვეტების და ნახევრადხავერდის ტიპის ხაოიანი ქსოვილებისა — 3,8-4-ჯერ;

ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოს აბრეშუმის ქსოვილებისა — 1,8-ჯერ, მათ შორის საკოსტიუმე და შტაპელის ბოჭკოს ქსოვილებისა — 4,1-ჯერ, ხაოიანისა — 3,2-ჯერ, სახარჩულე ქსოვილებისა — 3-3,6-ჯერ;

შალის კამოლური ქსოვილებისა — 2-ჯერ;

წმინდა ტრიკოტაჟის საცვლისა — 5-ჯერ, შალისა და შალნარევი ნართის ზედა ტრიკოტაჟისა — 3,5-4-ჯერ, აგრეთვე გადიდდეს ელასტიკური კაპრონის ნართის წინდების გამოშვება;

შეიქმნას მასობრივი წარმოება ხელოვნური ბეწვისა ქიმიური ბოჭკოსაგან და ტრიკოტაჟის ნაწარმისა სინთეზური მოცულობითი ნართისაგან;

მოეწყოს უქსოვი საფეიქრო მასალების წარმოება იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნას ეს მასალები როგორც საფილტრავი, შუასადები და სხვა ტექნიკური ნაწარმი, აგრეთვე ხელოვნური ტყავის, დეკორაციული და საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ნაწარმის წარმოებისათვის.

საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის მიმდინარე შვიდწლედში გამოიყოფა 2,8-ჯერ მეტი სახსრები, ვიდრე დაბანდებული იყო 1952-1958 წლებზე; ამუშავდება 7,7 მილიონი სართავი თითისტარი, ანუ 4,5-ჯერ მეტი, ვიდრე 1952-1958 წლებში, და 157 ათასი საქსოვი დაზგა — 3,1-ჯერ მეტი, ვიდრე წინა შვიდ წელიწადში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სამხარეო, საოლქო აღმასკომებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს საფეიქრო მრეწველობის განვითარებისათვის გამოყოფილი სახსრები და მატერიალური რესურსები მოახმარონ უპირატესად ასამუშავებელ ობიექტებს, ახალი საფეიქრო საწარმოების შენებლობა განახორციელონ შემჭიდროებულ ვადებში — არა უმეტეს ორი-სამი წლისა, უფრო ფართოდ გამალონ მოქმედი საფეიქრო საწარმოების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები.

დადგენილებაში გათვალისწინებულია ღონისძიებანი იმისათვის, რომ დაინერგოს საფეიქრო მრეწველობაში ახალი ტექნიკა, ათვისებულ იქნას პროგრესული ტექნოლოგია, განხორციელდეს წარმოების პროცესების მექანიზაცია და ავტომატიზაცია, შეიცვალოს ძველი მოწყობილობა ახალი დიდი სისწრაფისა და მცირე გაბარიტის მოწყობილობით, განხორციელდეს მოქმედი მოწყობილობის კომპლექსური მოდერნიზაცია. დასახულია 1965 წელს ბამბეულის მრეწველობაში დიდად გასაჯმავ ხელსაწყოებიანი სართავი მანქანების ხვედრითი წონა აყვანილ იქნას 93 პროცენტამდე, და ავტომატური საქსოვი დაზგებისა — 75 პროცენტამდე, შესაბამისად შალეულის მრეწველობაში — 90 და 69 პროცენტამდე და სელის მრეწველობაში — 65 და 96 პროცენტამდე.

დასახულია შვიდწლედის განმავლობაში დამთავრდეს დამბარე და შრომატევად სამუშაოთა და შიდასაფაბრიკო ტრანსპორტის მექანიზაცია საწარმოებში, ფართოდ დაინერგოს უწყვეტი პროცესები გამომყვან წარმოებაში, ბამბის ნართის უფთილო დართვა, მატყლის ვარცხნით დართვის შემცირებული სისტემა, შტაპელირებული ლენტის მიღების ტექნოლოგია უშუალოდ ხელოვნური ბოჭკოს ჩალიჩისაგან; სულ ცოტა ორ-სამჯერ შემცირდეს ნართის წყვეტიანობა სართავ და საქსოვ წარმოებაში.

საფეიქრო მრეწველობის საწარმოების აღჭურვისათვის თანამედროვე ტექნოლოგიური მოწყობილობით დადგენილებაში გათვალისწინებულია გადიდდეს 1965 წელს 1958 წელთან შედარებით სართავი მანქანების გამოშვება 7-ჯერ და საქსოვი დაზგებისა — 3,1-ჯერ.

შემუშავებულია ღონისძიებანი საფეიქრო მანქანათმშენებლობის მოქმედი ქარხნების გაფართოებისა და რეკონსტრუქციისა და ახალი ქარხნების შენებლობისათვის, ლითონსაჭრელი უნივერსალური და სპეციალური მოწყობილობით მათი აღჭურვისათვის, საფეიქრო მრეწველობის მანქანების, დაზგებისა და აგრეგატების ხარისხის გაუმჯობესებისათვის, მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო ბაზების გაფართოებისათვის, კაპიტალდაბანდებანი საფეიქრო და მხუბუქ მანქანათმშენებლობაში შვიდწლედის მანძილზე გადიდდება 3,5-ჯერ 1952-1958 წლებთან შედარებით.

მანქანათმშენებლები მოვალენი არიან მოაწყონ მაღალი წარმადობის ახალი დაზგების, მანქანების, აპარატებისა და აგრეგატების წარმოება საფეიქრო მრეწველობის საწარმოებისათვის, გამოუშვან ცენტრალიზებული წესით ტიპური კვანძები და დეტალები მოწყობილობის მოდერნიზაციისათვის, აგრეთვე დამხმარე სამუშაოების მექანიზაციის საშუალებანი.

დასახულია ღონისძიებანი საფეიქრო-დამხმარე მასალების ხარისხის მნიშვნელოვანი გაუმჯობესებისათვის, მათი დამზადებისას ახალ სახეობათა პლასტიკური მასების, სინთეზური ფიბოების და შენადნობთა ფართოდ გამოყენებისათვის, საფეიქრო-დამხმარე მასალების საწარმოთა რეკონსტრუქციისა და ამ საწარმოთა თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვისათვის.

უზბეკეთის სსრ, ყაზახეთის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, ყირგიზეთის სსრ, ტაჯიკეთის სსრ, სომხეთის სსრ და თურქმენეთის სსრ კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინადადება მიეცათ მიიღონ ღონისძიებანი ნედლი ბამბისა და ბამბის ბოჭკოს ხარისხის შემდგომი გაუმჯობესებისათვის, სასელეჭიო მუშაობის გაფართოებისა და ბამბის ახალი უხვმოსავლიანი, ბოჭკოს დიდი გამოსავლიანობისა და უკეთესი სართავი თვისებების მქონე ჯიშების უსწრაფესად დანერგვისათვის.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოვალენი არიან მიიღონ ღონისძიებანი მატყლის, გრძელბოჭკოიანი ხელის, კანაფის, ჯუტისა და კენაფის წარმოების გადიდებისათვის, ხარისხის გაუმჯობესებისათვის; შეიმუშაონ და განახორციელონ ღონისძიებანი ყაჩის წარმოების გადიდებისა და მისი ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ უწინარეს ყოვლისა თუთის აბრეშუმის ჭიის მაღალხარისხოვანი თეთრპარკიანი ჯიშების დანერგვა.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ქიმიის სახელმწიფო კომიტეტმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭომ, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭომ, ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭომ, ყაზახეთის სსრ მინისტრთა საბჭომ, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭომ და სახალხო მეურნეობის საბჭოებმა უნდა უზრუნველყონ:

ხელოვნური და სინთეზური ბოჭკოების ხარისხის მკვეთრად გაუმჯობესება, ამასთან მხედველობაში იქონიონ ბოჭკოს სიმაგრისა და თანაბრობის მნიშვნელოვნად გადიდება, მასობრივად შესაღებავი ბოჭკოსა და ნართის ფერადობის გამის გაფართოება, დამჭრალებული ვისკოზისა და ხვეული კაპრონის შტაპელის ბოჭკოს გამოშვების გადიდება, აგრეთვე სინთეზური ბოჭკოების ასორტიმენტის გაფართოება.

სხვადასხვა საფეიქრო ბოჭკოსა და ქსოვილის შესაღებავად მაღალხარისხოვანი და გამძლე საღებრების წარმოების ორგანიზაცია საკმაო რაოდენობით.

საფეიქრო წარმოების დარგში მეცნიერული კვლევის შემდგომი განვითარების მიზნით მიღებულია მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებისა და სახალხო მეურნეობის საბჭოების წინადადებანი საფეიქრო მრეწველობის კომპლექსური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საწარმოებში სამეცნიერო-საკვლევი ლაბორატორიების ორგანიზაციის შესახებ.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს დაევალათ დააზუსტონ საფეიქრო მრეწველობისა და საფეიქრო მანქანათმშენებლობის სპეციალობებში ინჟინერთა კადრებზე მოთხოვნილება უახლოესი წლებისათვის, ამასთან მხედველობაში იქონიონ საფეიქრო მრეწველობის მოთხოვნილების სრული უზრუნველყოფა კადრებით, განსაკუთრებით მანქანების კონსტრუირებასა და ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციაში, აგრეთვე გააფართოონ მეცნიერული კადრების მომზადება უმაღლესი სასწავლებლებისა და სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების ასპირანტურის მეშვეობით.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს საფეიქრო მრეწველობის მოქმედ საწარმოებში უზრუნველყონ შრომის პირობების, საწარმოო სანიტარიისა და უსაშიროების ტექნიკის შემდგომი გაუმჯობესება, ამ საწარმოთა აღჭურვა ყველაზე სრულყოფილი სავენტილაციო და შუქტექნიკური მოწყობილობით.

წინადადება მიეცათ შვიდწლედში საფეიქრო მრეწველობის ყველა მოქმედი საწარმო მოაწყონ სავენტილაციო დანადგარებით, 1965 წლისათვის დაამთავრონ ბამბეულის მრეწველობის საწარმოთა აღჭურვა დანადგარებით ტემპერატურისა და ჰაერის ტენიანობის ავტომატური რეგულირებისათვის, 1961 წლიდან დაიწყონ საქსოვ-სართავი ფაბრიკების საწარმოო შენობებში ჰაერის კონდიციონირების დანერგვა, მიიღონ ღონისძიებანი სამუშაო ადგილების განათების გაუმჯობესებისათვის, საფეიქრო მრეწველობის ყველა საწარმოს საჭირო საწარმოო-საყოფაცხოვრებო შენობებით უზრუნველყოფისათვის. მანქანათმშენებლო ქარხნებმა უნდა მიაწოდონ საფეიქრო მანქანები და აპარატები, თბოიზოლაციის, მტვრისსასრუტი, ორთქლის, ცხელი ჰაერისა და მავნე გაზების არინების მოწყობილობით დაკომპლექტებული.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო აღმასკომებსა და სახალხო მეურნეობის საბჭოებს განახორციელონ ღონისძიებანი ფეიქრთა საბინაო პირობების გაუმჯობესებისა და მათთვის განკუთვნილი ბინების შენებლობის დაჩქარებისათვის, საფეიქრო საწარმოთა განლაგების რაიონებში სკოლამდელ საბავშვო დაწესებულებათა ქსელის, აგრეთვე სასადილოების, მაღაზიების, სამრეცხაოებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა გაფართოებისათვის.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტებისა და მინისტრთა საბჭოებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სახალხო მეურნეობის საბჭოების, საფეიქრო მრეწველობის, საფეიქრო და მსუბუქი მანქანათმშენებლობის ქარხნების, ფაბრიკებისა და შენებლობათა, სამეცნიერო-საკვლევი და საკონსტრუქტორო ორგანიზაციების დირექტორებისა და პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიაქციეს იმას, რომ საჭიროა მაქსიმალურად გაძლიერდეს მოქმედი საწარმოების რეკონსტრუქციის, გაფართოების და ახალი საწარმოების შენებლობის, თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესებისა და ახალ სახეობათა ტექნოლოგიური მოწყობილობის შემუშავებისა და დანერგვის სამუშაოები, რათა უახლოეს წლებში მნიშვნელოვნად გადიდდეს საფეიქრო მრეწველობის საწარმოო სიმძლავრენი და უზრუნველყოფილ იქნას მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილება მაღალი ხარისხის ქსოვილებზე, ტრიკოტაჟის და სხვა საფეიქრო ნაწარმზე.

მღერის შორეული გურიატეთი

8 დეკემბერს სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის ფილიალში გაიმართა ბურიატეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დასკვნითი კონცერტი.

კონცერტს დაესწრნენ ამხანაგები: **ა. ბ. არისტოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ფ. ე. ვოროშილოვი, ნ. გ. ივნატოვი, ა. ი. კირიჩენკო, ფ. რ. კოზლოვი, ო. ვ. კუუსინენი, ა. ი. მიკოიანი, ნ. ა. მუხიტდინოვი, მ. ა. სუსლოვი, ე. ა. ფურცევა, ნ. მ. შვერნიკი, პ. ნ. პოსპელოვი, ა. ნ. კოსიგინი, დ. ს. პოლიანსკი,** სკკპ ბურიატეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი **ა. უ. ბახალოვი,** ბურიატეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ვ. რ. ფილიპოვი,** ბურიატეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **დ. ც. ცირემპილონი.**

კონცერტი, ისევე როგორც მთელი დეკადა, ჩვენი ქვეყნის ხალხთა კულტურის სწრაფი განვითარების ახალი დადასტურებაა.

გულითადი შეხვედრები

ნ. ს. ხრუშჩოვი იმიერკარპატში

მუკაჩევო, (იმიერკარპატის ოლქი), 8 დეკემბერი. (საკდესი). სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის ორი დღის ყოფნა იმიერკარპატში დიდხანს დაამახსოვრდებათ ამ მხარის მშრომელებს.

დღეს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატთან, უკრაინის სსრ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ნ. ვ. პოდგორნისთან, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატთან, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარესთან დ. ს. კოროტჩენკოსთან, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარესთან ნ. ტ. კალჩენკოსთან, პარტიის იმიერკარპატის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან ფ. კ. შჩერბაკთან, მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარესთან ი. გ. გარაგონიჩთან და ოლქის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად გაემგზავრა მუკაჩევოს რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ძვირფასი სტუმარი წინადღით მიიწვიეს კოლმეურნეებმა.

უყოყმანოდ მიმავალ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს გზაში გულთბილად მიესალმებოდნენ სრედნის, დუბროვკის, ზნიაცევის, რაკოშინოს, რუსკისა და სხვა სოფლების მცხოვრებნი.

აღფრთოვანებით შეხვდნენ სტუმრებს მუკაჩევოს მშრომელნი. მთელი ქალაქი გამოვიდა სადღესასწაულოდ მორთულ ქუჩებში. შემხვედრთ ხელში ჰქონდათ წითელი ალმები, ქსოვილები მხურვალე მისალმების სიტყვებით, შემოდგომის ბევრი ლამაზი ყვავილი.

ავტომანქანები შედიან ძველებურ უკრაინულ სოფელ ველიკეე ლუჩკიში, სადაც იმიერკარპატის ერთ-ერთი მოწინავე ასასოფლო-სამეურნეო არტელი — ლენინის სახელობის კოლმეურნეობაა. ნ. ს. ხრუშჩოვის, უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელების შესახვედრად შეიკრიბა სოფლის ყველა მცხოვრები.

ქარი აფრიალებს საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმებს. მოჩანს წითელი ქსოვილები წარწერებით: „ველიკეე ლუჩკის კოლმეურნეები სულით და გულით მოგესალმებიან თქვენ, ძვირფასო ნიკიტა სერგის-ძევ“!, „გულითადი მადლობა ნიკიტა სერგის-ძევ, თქვენი დაუცხრომელი შრომისათვის სამშობლოს საკეთილდღეოდ!“. ერთსულოვანი ტაში, მძლავრი ათასხმოვანი „ვაშა“ გაისმის სოფლის მოედანზე, როცა მანქანიდან გამოდიან ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები. ამხანაგ ხრუშჩოვთან მიდიან კოლმეურნეობის მერგოლური ე. ვ. ტატინეცი და პარტორგანიზაციის მდივანი ი. ვ. ბაინი. ხალხური ჩვეულებისამებრ მათ პურმარილი მიართვეს სტუმარს. სტუმრებთან მიირბინეს პიონერებმა, გაუკეთეს წითელი ყელსახვევები და მიართვეს ყვავილების თაიგულები.

იმპროვიზებულ ტრიბუნაზე ადის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი ი. მ. რუბინი. კოლმეურნეთა სახელით იგი მხურვალედ მიესალმება ნ. ს. ხრუშჩოვსა და უკრაინის კომუნისტური პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებს.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ აღუთქვა ნ. ს. ხრუშჩოვს, რომ არტელის წევრები ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ვადამდე, ხუთ წელიწადში შეასრულონ შვიდწლიანი გეგმის დავალება.

მქუხარე ტაში გაისმის მოედანზე, როცა მიკროფონთან მიდის ნ. ს. ხრუშჩოვი.

იგი ამბობს:

ძვირფასო ამხანაგებო!

ნება მიბოძეთ მადლობა მოგახსენოთ ამ კარგი შეხვედრისათვის, ყურადღებისათვის, პურ-მარილისათვის, რომლითაც შემხვდით. მე ჯერ მისი გემო არ მინახავს, მაგრამ ვხედავ, რომ პური გემრიელია, კარგია. მადლობა კეთილი სიტყვებისათვის, რომლებიც აქ წარმოთქვა თქვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხანაგმა რუბიშმა ჩვენი კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის მიმართ, საბჭოთა მთავრობის მიმართ. **(მქუხარე ტაში).**

ამხანაგებო! ნება მიბოძეთ მოგილოცოთ შესანიშნავი წარმატებები, რომლებზეც გვიამბო ამხანაგმა რუბიშმა, განსაკუთრებით მხურვალედ მივულოცო თქვენი კოლმეურნეობის მოწინავე ადამიანებს, რომლებიც შესანიშნავად მუშაობენ და სახელს უხვეშენ კოლმეურნეობას, თქვენს მხარეს, მთელ ჩვენს სამშობლოს, მაგალითს გვიჩვენებენ შრომაში. აი მერგოლური ამხანაგი ლადანი — იგი წარჩინებულთა შორის წარჩინებულია მთელ ჩვენს ქვეყანაში, ძალიან კარგად იცის სიმინდის მოყვანა როგორც სამარცვლედ, ისე სასილოსედ. აი ამხანაგი პენჩევი — მართალია, არა თქვენი, არამედ მეზობელი კოლმეურნეობიდან. მანაც ასახელა იმიერკარპატი სიმინდის უხვი მოსავლით. საერთოდ იმიერკარპატმა კარგად გვიჩვენა თავი, იგი მოწინავე რიგებშია შვიდწლედის შესრულების საქმეში და, მაშასადამე, კომუნიზმის მშენებელთა მოწინავე რიგებშია. **(ტაში).**

ამხანაგებო! ჩვენს ქვეყანაში საქმეები, როგორც იცით, კარგად მიდის. რა მდგომარეობაა აქ — საქონელი მაღაზიებში არის?

შეძახილები: არის, არის.

ნ. ს. ხრუშჩოვი: მაშასადამე, თქვენთანაც კარგად მიდის საქმე.

მშვიდობისათვის ბრძოლის საქმეც თავის დიდ შედეგებს იძლევა. საჭიროა მხოლოდ ვიცხოვროთ და გვიხაროდეს და, რა თქმა უნდა, კარგად ვშრომობდეთ, იმიტომ რომ, როგორც იტყვიან,—ვისაც თევზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო. **(მხიარული გამოცოცხლება, ტაში).**

დიახ, ჩვენ ძალიან კარგად უნდა ვიშრომოთ. რაც უფრო მეტს და უკეთ ვიშრომებთ, მით უფრო მდიდარი და ძლიერი იქნება ჩვენი ქვეყანა, მით უფრო კარგად ვიცხოვრებთ ჩვენ ყველანი, ყველაფერს გავაკეთებთ, რაც გვჭირდება.

ნება მიბოძეთ ამით დავამთავრო ჩემი გამოსვლა და ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით, საბჭოთა მთავრობის სახელით მადლობა საუკეთესო წარმატებები, ძვირფასო მეგობრებო. **(მქუხარე, ხანგრძლივი ტაში. შეძახილები: „დიდება კომუნისტურ პარტიას!“, „გაუმარჯოს მშობლიურ საბჭოთა მთავრობას!“).**

შემდეგ კოლმეურნეობის გამგეობაში გაიმართა ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის გულთბილი, გულითადი საუბარი არტელის ხელმძღვანელებთან, სპეციალისტებთან და აქტივთან, აგრეთვე მეზობელ კოლმეურნეობათა წარმომადგენლებთან. საბჭოთა მთავრობის მეთაურს დაწვრილებით აინტერესებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარება, კოლმეურნეთა ყოფაცხოვრება და საწარმოო წარმატებები. ნ. ს. ხრუშჩოვს აინტერესებს აგრეთვე ა. მ. ლადანის რგოლის მიღწევები, მისი მუშაობის გამოცდილება სიმინდის მოყვანაში, ძვირფას რჩევა-დარიგებას აძლევს ამ კულტურის აგროტექნიკის შესახებ.

ამხანაგი ხრუშჩოვი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სიმინდის მოყვანაზე შრომის ხარჯვის შემცირების საკითხებს.

ამხანაგი ხრუშჩოვი, რომელსაც გამცილებლებმა გზა მშვიდობისა და ჯანმრთელობა უსურვეს, გულთბილად გამოეთხოვა ველიკეე ლუჩკის მშრომელებს.

საღამოს ნიკიტა სერგის-ძე უკრაინის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთად სპეციალური მატარებლით გაემგზავრა მუკაჩევოდან.

ნ. ს. ხრუშჩოვი ლვოვში

ლვოვი, 9 დეკემბერი. (საკდესი). უკრაინაში მყოფი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ს. ხრუშჩოვი დღეს სპეციალური მატარებლით ჩამოვიდა ლვოვში. მასთან ერთად ჩამოვიდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ნ. ვ. პოდგორნი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო, უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნ. ტ. კალჩენკო.

ნ. ს. ხრუშჩოვის, უკრაინის კომპარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა შესახვედრად ვაგზალში შეიკრიბა ლვოვის ასობით მშრომელი — სამრეწველო საწარმოთა და მშენებლობათა, სამეცნიერო დაწესებულებათა და სასწავლებელთა მუშაკები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

რკინიგზის ვაგზალი სადღესასწაულოდაა მორთული. ფრიალებს საბჭოთა კავშირისა და უკრაინის სსრ სახელმწიფო ალმები, ყველგან კიაფობს ქსოვილები, რომლებზეც აღბეჭდილია ძვირფასი სტუმრისადმი მხურვალე მისალმებისა და კეთილი სურვილების გამომხატველი სიტყვები.

10 საათზე ვაგზლის ბაქანს მოადგა სპეციალური მატარებელი. ვაგონის საფეხურებზე გამოჩნდა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი. ერთსულოვანი ტაში გრიალებს გიგანტური მინის გუმბათის თაღებში. ნიკიტა სერგის ძე ღიმილით, ხელის ქნევით მიესალმება შეკრებილთ.

საბჭოთა მთავრობის მეთაურს პურ-მარილით ხვდებიან ნოვი იარიჩევის რაიონის კოლმეურნეობა „პროგრესის“ მერგოლური, სოციალისტური შრომის გმირი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ო. მ. პასეკა და მანქანათსაშენებელი ქარხნის ჩქაროსანი ხარატი, უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ი. გურგალი, ორთქლმავლის მემანქანე სოციალისტური შრომის გმირი პ. კ. ტოკაკი.

ნიკიტა სერგის ძე გულითად მადლობას გამოთქვამს პურ-მარილისათვის.

ნ. ს. ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირნი სხდებიან ავტომანქანებში და მიდიან ქალაქში. მთელ გზაზე მოჩანს პლაკატები: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ძველ ლვოვში, ძვირფასო ნიკიტა სერგის ძევ!“, ათეულ ათასობით მშრომელი გამოვიდა ქუჩებში, რათა მისალმებოდნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

ხანმოკლე შესვენების შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა და მისმა თანმხლებმა პირებმა დაათვალიერეს პარტიის საოლქო კომიტეტის შენობაში ქალაქ ლვოვის ელექტროტექნიკური და სხვა დარგის მრეწველობის ახალ ნაწარმთა გამოფენა. შემდეგ სტუმრები წავიდნენ ლვოვის ავტობუსის ქარხანაში. იქ ნ. ს. ხრუშჩოვის მისვლის დრო დაემთხვა სადილობის შესვენებას. საამქროებიდან გამოსული მუშები ოვაციით შეხვდნენ საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

ოლქისა და საწარმოს ხელმძღვანელთა თანხლებით ნ. ს. ხრუშჩოვი, ნ. ვ. პოდგორნი, დ. ს. კოროტჩენკო და ნ. ტ. კალჩენკო შევიდნენ ვეებერთელა საამქროში, სადაც აწყობენ ამ ახალი, პირველხარისხოვანი ტექნიკით აღჭურვილი ქარხნის მზა პროდუქციას. აქ ნ. ს. ხრუშჩოვმა დაათვალიერა მოწყობილობა, ესაუბრა მუშებს, შემდეგ გაეცნო ავტობუსთა ახალ მოდელებს.

ქარხნის ხელმძღვანელებმა ნიკიტა სერგის ძე ხრუშჩოვი და მისი თანმხლები პირები მიიწვიეს ტრიბუნაზე. დაიწყო მიტინგი. იგი გახსნა პარტკომის მდივანმა ვ. ი. სამოილოვიჩმა. მან სიტყვა მისცა საძარო საამქროს ზეინკალს, კომუნისტური შრომის ბრიგადის მეთაურს პ. ი. პავლოვს.

მუშა მიმართავს ნ. ს. ხრუშჩ

ᲣᲕᲘᲓᲬᲚᲔᲚᲘᲡ ᲒᲚᲣᲮᲔᲑᲖᲔ

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ

მიწის გარაქა—მარჯვენის მადლი ასე უხდიან ამაგს

როგორც კი გამოქვეყნდა ცნობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მოწვევის შესახებ, ჩვენს რესპუბლიკაში ფართოდ გაიშალა სოციალისტური შეჯიბრება შვიდწლედის პირველი წლის წარმატებით დამთავრებისათვის.

პლენუმის წინადღეებში საქართველოს სოფლის მშრომელები თავდადებით გაგრძელებენ ბრძოლას ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. ადგილებიდან ყოველდღიურად მოდის სასიხარულო ცნობები ნაკისრ ვალდებულებათა ღირსეულად შესრულების შესახებ. ბევრმა კოლმეურნეობამ ვადამდე გაანაღდა წველადობის წლიური დავალებანი, შარშანდელთან შედარებით გაცილებით მეტი აწარმოეს რძე, ხორცი და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტები.

რაიონულ პარტიულ კონფერენციებზე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მშრომელთა კრებებზე, ბრიგადებსა, და რგოლებში აჯამებენ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგებს, სახავენ კონკრეტულ, ქმედითს ღონისძიებებს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების შემდგომი გადიდებისათვის, შვიდწლედის მეორე წლის დავალებათა პირნათლად შესრულებისათვის.

ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚ ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲔᲑᲖᲔ

პირველი წარმატებები საქმის დასაწყისია

ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲘᲡ მოსაცდელ დარბაზში სასოფლო-სამეურნეო გამოფენა იყო მოწყობილი. აქ ნახავდით ექსპონატებს ორლუღის, ჩიხის, სხვიტორის, არგვეთის, სავანის, სარეკის, საირხის, კალუათის კოლმეურნეობებიდან, საჩხერის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობიდან. კონფერენციის დელეგატები დიდი ინტერესით ეცნობოდნენ გამოფენას, ერთხელ კიდევ რწმუნდებოდნენ, თუ რისი მოცემა შესძლებია მიწას, ბეჯით შრომას.

ორღუღელმა და სხვიტორელმა კოლმეურნეებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 50 ცენტნერი სიმინდი. კალუათის კოლმეურნეობამ ჰექტარზე მოიყვანა 128 ცენტნერი ხახვი, ხოლო ერთ დედაღორზე მიიღო 18 გოჯი. საჩხერის საბჭოთა მეურნეობაში ჰექტარზე მოკრიფეს 81 ცენტნერი ყურძენი, თვითეულ ძრახაზე მიიღეს 2.061 კილოგრამი რძე. ყოველივე ამას გვაუწყებენ გამოფენის სტენდები, ექსპონატები. ამის შესახებ ილაპარაკა პარტიის რაიკომის პირველმა მდივანმა ამხ. ვ. ურუშაძემ საანგარიშო მოხსენებაში.

წელს რაიონში საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 13 ცენტნერის ნაცვლად მოიყვანეს 15 ცენტნერი სიმინდი, ხოლო თვითეულ ძრახაზე მიიღეს 1.085 კილოგრამი რძე, რაც 215 კილოგრამით აღემატება გასული წლის წველადობას, ხოლო ხუთჯერ — 1953 წლის მაჩვენებლებს. მართალია, ორღუღის, სხვიტორის, ატავაზის კოლმეურნეობებმა ყურძნის უხვი მოსავალი მიიღეს, მაგრამ მთლიანად რაიონში ვერ შეასრულეს ყურძნის საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე. ეს ძირითადად გამოწვეულია ვენახების ცუდი მოვლით და სიმეჩხერით.

რაიონის მშრომელთა პირველი წარმატებანი მოპოვებულია პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებით, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებით, მომხოვნელობისა და პასუხისმგებლობის ამაღლებით. მაგრამ სოფლის მეურნეობისადმი ხელმძღვანელობაში ჯერ კიდევ არის ნაკლოვანებები, — თქვა მომხსენებელმა ამხ. ვ. ურუშაძემ. — მოსავლიანობის გადიდების ყველა რეზერვსა და შესაძლებლობას მთლიანად ვერ იყენებენ სოფლების ნიგზარის, მოხვის, ჯალაურთის, ცხომარეთის, ცხამის კოლმეურნეობები. ამ კოლმეურნეობებში ცუდად არის მოწყობილი შრომა, სუსტია პარტიული ორგანიზაციების მაორგანიზებელი როლი.

მომხსენებელმა დაწვრილებით ილაპარაკა იდეოლოგიური მუშაობის, საბჭოებისა და კომკავშირისადმი ხელმძღვანელობის ჩრდილოვან მხარეებზე. მან აღნიშნა, რომ ჭალისა და მერჯევის საშუალო სკოლებში ჩაშლილია სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა, განათლების განყოფილება კი სუსტად ხელმძღვანელობს საქმეს. ვაჭრობის მუშაკები ვერ ასრულებენ გეგმებს, ნაკლებად ფიქრობენ კადრების სწორად შერჩევასა და მოსახლეობის პირველი მოთხოვნილების საგნებით უზრუნველყოფაზე. ალმოფხვრილი არ არის სპეკულაცია. დამნაშავეებს მიმართ ზოგჯერ ლმობიერებას იჩენენ მილიციისა და სასამართლო-პროკურატურის ორგანოები.

დაიწყო კამათი, სოფლის მეურნეობის ინსპექციის უფროსმა ამხ. ა. იაკობაშვილმა აღნიშნა, რომ კორბოულის ზონის კოლმეურნეობებში პატივისცემით არ სარგებლობს მევენახეობა და მებაღეობა, თუმცა დადასტურებულია, რომ ვაზი და ხეხილი აქ კარგად ხარობს. მან გააკრიტიკა ჯალაურთის, ბახიოთის და მოხვის კოლმეურნეობები, სადაც არღვევენ არტელის წესდებას, ანიავებენ საკოლმეურნეო დოვლათს.

სიტყვას იღებს სოფელ ორღუღის კოლმეურნეობის მევენახეობის ბრიგადირი ამხ. ი. ნადირაძე: — ჩვენმა ბრიგადამ თვითეულ ჰექტარზე 74,5 ცენტნერი ყურძენი მიიღო. კოლმეურნე ვ. ნადირაძემ კი მისთვის მიმაგრებულ ნაკვეთზე ჰექტარზე გადაყვანით 134 ცენტნერი ყურძენი მოიყვანა.

მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდას, ჯიშობრივ გაუმჯობესებასა და არსებული რეზერვების უკეთ გამოყენებას მიუძღვნა თავისი გამოსვლა რაიაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ამხ. გ. ყიფიანმა. მან მოითხოვა შეჯიბრებისადმი მეტი ოპერატიული ხელმძღვანელობა და დასძინა, რომ მოწინავეთა გამოცდილებაზე ნაკლებად იწერება ბროშურები, ხოლო როცა იწერება, ძალიან ზოგადად და არაკვალიფიციურად.

სოფელ ქორეთის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. ა. ხურციძემ კონფერენციას მიუთხრო, თუ ჩამორჩენილი კოლმეურნეობა როგორ დგება მოწინავეთა რიგებში. მან აღნიშნა, რომ კოლმეურნეობაში უნდა ამაღლდეს პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის დონე, რაც ხელს შეუწყობს სამეურნეო წარმატებებს.

რაიონის პროკურორმა ამხ. ა. დიასამიძემ და მილიციის განყოფილების უფროსმა ამხ. ე. რეხვიაშვილმა სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისათვის სამართლიანად მოითხოვეს ფართო აქტივის, საზოგადოების როლის ამაღლება. მაგრამ თითქმის არაფერი თქვეს თავიანთი მუშაობის ჩრდილოვან მხარეებზე.

— იდეოლოგიურ მუშაობაში ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებებია, — თქვა რაიკომის მეორე მდივანმა ამხ. ი. გოგატიშვილმა. — იგი მჭიდროდ არ არის დაკავშირებული ცხოვრებასთან. წრეებისათვის ჯერ კიდევ არ გაგვაჩნია პროგრამები.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე სოფელ ჯალაურთის კოლმეურნეობის პარტბიუროს მდივანი ამხ. პ. ცარცაძე, საჩხერის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი ამხ. ბ. საყვარელიძე, სოფელ ჭალის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. ზ. ქიმაძე, საჩხერის სადაბო საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. გოგოლაძე, განათლების განყოფილების გამგე ამხ. კ. ჭიხორია და სხვ., სულ 15 კაცი.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანოების განყოფილების გამგის მოადგილე ამხ. ვ. სანიკიძე.

კონფერენციამ საანგარიშო პერიოდში რაიონული კომიტეტის მიერ გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო.

• • •

გაიმართა ახლად არჩეული რაიკომის პლენუმი, რომელმაც საქართველოს კომპარტიის საჩხერის რაიკომის პირველ მდივნად აირჩია ამხ. ვ. ურუშაძე, მეორე მდივნად — ამხ. ი. გოგატიშვილი, მდივნად ამხ. კ. ნოზაძე.

ᲐᲠᲑᲝᲛᲘᲙᲔᲚᲘ.

1

ᲐᲠᲑᲝᲛᲘᲙᲔᲚᲘ მწყემსს, 76 წლის აბრამ მენთეშაშვილს, თითქოს ლაპარაკს გადაჩვეულაო, სიტყვის თქმა უჭირს. იგი უფრო მეტად გაღიმებული სახით გამოხატავს თავის ბედნიერებას... შემოგყურებს, და ფიქრით ალბათ ისევ თრიალეთში, ან ივრის პირებზეა... მან ხომ თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი ცხვარში გაატარა. ქარში და ავდარში, თოვლსა და წვიმაში ფხიზლად, საქმის ცოდნით მწყემსავდა ცხვარს... ვთხოვეთ გაეხსენებინა რაიმე თავისი ხანგრძლივი მწყემსობიდან. მაგრამ არ იცის რით დაიწყოს, რომელი ერთი უნდა გაიხსენოს! მისი ცხოვრება მთელი დაუწერელი წიგნია... აღსავსეა თავგანწირვითა და ვაჟკაცობით.

აი ზოგიერთი ეპიზოდი მისი მწყემსური ცხოვრებიდან.

თრიალეთისაკენ დაძრულ 2.500 ცხვრისაგან შემდგარ ფარას ძოვებ-ძოვებით მიერეკებოდა აბრამი. მას მხოლოდ ორი ჭაბუკი მწყემსი ახლდა... ფარა მოკლე გზით მიჰყავდა. იორზე მშვიდობით გადარეკა ცხვარი და ბარგით დატვირთული ცხენების გამოსაყვანად უკან გამოვიდა მდინარეზე. სწორედ ამ დროს უეცრად ადიდდა მდინარე... საჭირო იყო ცხენების გადაყვანაც. ფარა გაღმა დარჩა, ცხენები და აბრამი — გამოღმა.

ბევრი ფიქრის დრო აღარ იყო, აბრამი ცხენზე შეჯდა, გვერდზე სხვა ცხენები ჩაიყენა. ჰაერში შოლტი გაატყლაშუნა, ომახიანად დასჭყივლა ბარგით დატვირთულ ცხენებს და აბობოქრებულ იორში გადაეშვა, ცხენები თან გაიყოლია...

ჭაბუკმა მწყემსებმა პირველად ნახეს მოხუცის თავგანწირვა. გულში ჩარჩათ მისი სიმამაცე. აბრამმა ბარგიანი ცხენები მეორე ნაპირზე გაიყვანა და ფარას 40 კილომეტრით შეუმოკლა გზა.

2

საინტერესო ცხოვრების გზა აქვს გავლილი 77 წლის კოლმეურნე ზაქარია პატატიშვილსაც. სიბერე სულაც არ ემჩნევა მას. ლამაზი გარეგნობის ამ კოლმეურნეს გულიც სიკეთითა და კეთილშობილური გრძნობებით აქვს აღსავსე. ლაპარაკობს თავაზიანად და მგრძნობიარედ.

სოფელი ყველაზე კარგად გრძნობს თვითეული ადამიანის ღირსებას და მათ თავისებურად „ნათლავს“. ზაქარიაც მოუნათლავს სოფელს. გულმართალი კაცის სახელი დაურქმევიათ მისთვის. სწორედ რომ ზედგამოჭრილია.

პურის მომყვანი კაცია ზაქარია. კოლმეურნეობაში გუთნისდედობა და ყანის მკა იყო მისი მუდმივი საქმე, სანამ მანქანებმა არ შეცვალეს ეს შრომატევადი სამუშაო. ამ უკანასკნელ წლებში კი მას ახალი საქმე მიანდეს. უტყეო კორომების გაშენება, ნარგავების მოვლა-პატრონობა და სოფლის გზებზე ზრუნვა. გზას ქვიშას აყრის, ქარსაფარ ზოლებსა და ტყის ახალ კორომებს რწყავს.

„ვაკე“ ეწოდება სოფელ არბოშიკის უტყეო ველს. სწორედ აქ გააშენა კოლმეურნეობამ 17 ათასი ძირი მცენარე. აქედან ოთხი ათასი ძირი ალვის ხე, აკაცია, ლეღვი და ბროწეული ზაქარიამ თავისი ხელით დარგო. გააცოცხლა უმცენარო და გამოგვალული მიდამო.

ტანი აიყარა ნარგავებმა. ყოველ ძირ მცენარეს შეჰხარის მოხუცი, მისი მზრუნველი ხელი ამჩნევია. თავისი ნაამაგარით ხარობს ახლა ზაქარია...

• • •

6 დეკემბერს მზიანი დღე გათენდა... ამ დღეს უჩვეულო გამოცოცხლება იყო სოფელში. ყველაფერს ზეიმის ელფერი ემჩნეოდა. არბოშიკელი კოლმეურნეები იუბილეს უხდიდნენ თავიანთ თანასოფლელ ღვაწლმოსილ კოლმეურნეებს: მწყემს აბრამ მენთეშაშვილს და მემინდვრეს ზაქარია პატატიშვილს.

ვისაც ადრე უნახავს, ახლა ვეღარ იცნობს განახლებულ არბოშიკს. სოფლის აყვავებისა და გაფურჩქვნისათვის თვალსაჩინო მუშაობა გაუწევიათ იუბილარებს — აბრამ მენთეშაშვილს და ზაქარია პატატიშვილს. სოფლის ეს სახელოვანი ადამიანები საკოლმეურნეო შრომის პირველი პიონერები იყვნენ. ისინი არბოშიკელ კოლმეურნეებთან ერთად თავდადებით იბრძოდნენ არტელის ზრდისა და განმტკიცებისათვის.

უკანასკნელ წლებში მკვეთრი გარდატეხა მოხდა საკოლმეურნეო წარმოების ყველა დარგში. არტელის მარტო ფულადმა შემოსავალმა 12 მილიონ მანეთს გადააჭარბა.

ძველად ოცნებაც კი არ შეეძლოთ უბრალო ადამიანებს მათი შრომის დაფასებაზე, საქვეყნოდ აღიარებაზე. სწორედ ამიტომ დიდი მოვლენა იყო სოფლისა და თვით რაიონის ცხოვრებაში ღვაწლმოსილ კოლმეურნეთა იუბილეს მოწყობა. ამ ზეიმზე მონაწილეობისათვის მოვიდნენ კოლმეურნეები, სოფლის ინტელიგენცია, რაიონის ხელმძღვანელი მუშაკები, მეზობელ კოლმეურნეობათა წარმომადგენლები.

სადღესასწაულოდ მორთულ კულტურის სახლის ვრცელ დარბაზში ტევა არ იყო. პრეზიდიუმის მაგიდას მოკრძალებით უსხდნენ მხცოვანი კოლმეურნეები ა. მენთეშაშვილი და ზ. პატატიშვილი, რომელთა გამო შეკრებილა ამოდენა ხალხი.

ტრიბუნაზეა არბოშიკის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე მიხეილ ალადაშვილი. მან დამსწრეთ გააცნო იუბილარების უანგარო და ნაყოფი ცხოვრება.

ღვაწლმოსილ კოლმეურნეებს სიტყვით მიმართა მწყემსმა ვახტანგ სეფიაშვილმა. მან გულწრფელად მიულოცა მათი შრომის ასეთი აღიარება.

მწყემსმა ზაქარია ბაღაშვილმა საკუთარი ლექსი მიუძღვნა იუბილარებს. შემდეგ გამოვიდა არბოშიკის საშუალო სკოლის მოსწავლე პიონერი თამარ ბაღაშვილი, რომელმაც განაცხადა:

— პაპა აბრამისა და პაპა ზაქარიას შრომა სამაგალითოა ჩვენი თაობისათვის. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ ძვირფას იუბილარებს...

მისასალმებელი სიტყვები წარმოთქვეს აგრეთვე პარტიის წითელწყაროს რაიკომის მეორე მდივანმა ს. ბაღაშვილმა, არბოშიკის საშუალო სკოლის საწარმო ბრიგადის ხელმძღვანელმა გ. ოთარიშვილმა, მეფრინველე ქალიშვილმა ჟუჟუნა ბაღაშვილმა, მოსწავლე ხ. დავითაშვილმა და სხვებმა.



ᲖᲐᲥᲐᲠᲘᲐ �პᲐᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

დასასრულ სიტყვებით გამოვიდნენ იუბილარები. მათ მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა მთავრობას, არბოშიკის კოლმეურნეებს და მთელ საზოგადოებრიობას მათი შრომის ასეთი მაღალი შეფასებისათვის.

დასასრულ არტელის გამგეობის სახელით იუბილარებს გადასცეს ძვირფასი საჩუქრები — ნაბდები და მოვერცხლილი ყანწები.

მთელმა სოფელმა იზეიმა ამ ღვაწლმოსილი კოლმეურნეების იუბილე.

შ. შაგელაშვილი,
კ. ᲞᲐᲜᲢᲣᲠᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲬᲔᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲡ

რატომ ფერხდება სოფლად მშენებლობა?

ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ რაიონში ოთხი-ხუთი წლის წინათ კოლმეურნეობათა სახსრებით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება ყოველწლიურად სამ მილიონ მანეთს არ აღემატებოდა. შარშან ამ თანხამ შვიდ მილიონ მანეთს მიაღწია, წელს კი გაცილებით გაიზარდა.

მშენებლობის მოცულობის ინტენსიურმა ზრდამ მოითხოვა სამუშაოების წარმოების არსებული ფორმების შეცვლა, საშენი მასალების წარმოების გაფართოება, ისეთ ღონისძიებათა გატარება, რაც უზრუნველყოფს მშენებლობის ვადებისა და ღირებულების შემცირებას.

რაიონის კოლმეურნეობებმა საპაიო საწყისებზე შექმნეს რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია, რომელიც მშენებლობის წარმოებასთან ერთად საშენ მასალებსაც ამზადებს.

მოუხედავად იმისა, რომ საორგანიზაციო პერიოდი კარგა ხანს გაგრძელდა და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭომ დროულად ვერ შეძლო სათანადო საბრუნავი და ძირითადი საშუალებების შექმნა, მან ამ ხნის განმავლობაში მაინც შეასრულა 3,5 მილიონი მანეთის სამუშაოები, გამოუშვა 3.434 ტონა მაღალხარისხოვანი კირი, დაამზადა 7.080 კუბმეტრი საშენი ქვა და 1.000 კუბმეტრი სამასალე მერქანი, საექსლოატაციოდ გადასცა 600 ტონის ტევადობის ორი სასიმინდე, საძროხე 124 სულისათვის, მინერალური სასუქების 200 ტონის ტევადობით საწყობი. მთავრდება სოფელ ნაჯახაოს ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ორსართულიანი ადმინისტრაციული სახლის, სოფელ გაჭედილის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის კლუბისა და კოლმეურნეობის კანტორის მშენებლობა. გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს სალხინოს და დიდი ჭყონის საზაფხულო კინოთეატრების აგება.

საპაიო შენატანების ხარჯზე მოვაწყეთ კირის ქარხანა, ხის გადასამუშავებელი მექანიზებული სახელოსნო, ასფალტის დასამზადებელი ქარხანა, საკედლე ბლოკების საწარმო, ხე-ტყის დასამზადებელი პუნქტი სახერხი დანადგარებით.

საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის შექმნასთან დაკავშირებით თუმცა ნელა, მაგრამ მაინც დადებითად წყდება ჩვენთვის ფრიად მტკივნეული, სოფლის მშენებლობის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საკითხი. თანდათან გვარდება ახალგაზრდა კადრების საწარმოო სწავლება. უკვე მოვამზადეთ ორი კალატოზი, ერთი დურგალი, ექვსი მებეტონე, რომლებიც ენერგიულად მუშაობენ.

ყველაფერი ეს კარგია, მაგრამ ჩვენს მუშაობას უფრო მეტი ჩრდილოვანი მხარეები აქვს, არ გვყოფნის ტექნიკა. რვა სატვირთო ავტომანქანა, ერთი ბულდოზერი, ერთი ტრაქტორი, ორი ამწე, ერთი ტრანსპორტიორი, ერთი ბლოკების მბრეკი და რამდენიმე ხის დასამუშავებელი დაზგა — აი ყველაფერი, რაც გაგვაჩნია. ეს, რა თქმა უნდა, სრულებით არ კმარა მშენებლობაში ინდუსტრიული მეთოდების დანერგვისათვის.

ყველაფერი წესრიგში როდია სასოფლო მშენებლობის დაფინანსების მხრივ. როგორც ცნობილია, შემოსავლის დიდი ნაწილი კოლმეურნეობის სალაროში წლის ბოლოს შედის, ამიტომ კოლმეურნეობათა უმრავლესობას მარტიდან ოქტომბრამდე — მშენებლობისათვის ყველაზე ხელსაყრელ პერიოდში — საშუალება არა აქვს გაანაღდოს ანგარიშები. ეს კი სამშენებლო ორგანიზაციას მძიმე ფინანსურ მდგომარეობას უქმნის.

საშენი მასალების ზოგიერთი საწარმოს მოწყობას, მაგალითად, ივურის ქარხნის მშენებლობას, კარგა მოზრდილი წინასწარი დაბანდება ესაჭიროება, რომლის განხორციელება მხოლოდ სანებართვო სამუშაოების ხარჯზე შეუძლებელია. ამ შემთხვევაში საოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციისათვის დიდი დახმარება იქნებოდა გრძელვადიანი სესხის გამოყოფა. მაგრამ დამფინანსებელი ბანკის უკვე მოძველებული ინსტრუქციის მიხედვით სამშენებლო ორგანიზაციას სესხის მიღება შეუძლია მხოლოდ მეპაიე კოლმეურნეობების მეშვეობით. კოლმეურნეობებმა ცალცალკე უნდა გააფორმონ ვალდებულება სესხზე, ხოლო თუ რომელიმე მათგანს ვადაგადაცილებული სესხი აქვს, კრედიტი შეიძლება სულ არ მისცენ, და საქმეც ჩაიშლება, ეს ინსტრუქცია უნდა შეიცვალოს. საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაცია უშუალოდ უნდა სარგებლობდეს გრძელვადიანი სესხით.

ძირითადი ფონდირებული მასალებით საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების უზრუნველყოფა დაკისრებული აქვს სამომხმარებლო კოოპერაციას, მაგრამ იგი პასუხს არ აგებს სოფლად მშენებლობის გეგმების შესრულებისათვის, ამიტომ არც ისე იწუხებს თავს. ნუთუ არ შეიძლება ფონდით გამოყოფილი საშენი მასალები უშუალოდ საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებმა მიიღონ?

ჩვენთვის გაურკვეველია, ვინ უნდა აწარმოოს სოფლად მშენებლობის დაპროექტება. რესპუბლიკური საპროექტო ორგანიზაციები გართული არიან სხვა საქმით, ამასთან კოლმეურნეობებს ძვირი უჯდებათ მათ მიერ შესრულებული სამუშაოები. აუცილებელია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარ სამმართველოსთან შეიქმნას სამეურნეო ანგარიშზე მყოფი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ჯგუფი 5-6 კაცის შტატით. ეს ღონისძიება უდაოდ გამართლებული იქნება. საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია უფრო იაფი დაჯდება, მშენებლობის ტემპი დაჩქარდება.

დადგა დრო, როცა სამშენებლო-არქიტექტურული კონტროლი სოფლადაც უნდა ხორციელდებოდეს. ქალაქებში ხომ არც ერთ მშენებელს არ შეუძლია სამუშაოების დაწყება, თუ დაგეგმარების საკითხები შეთანხმებული არ არის ქალაქის არქიტექტორთან და სხვა ორგანიზებთან. სოფლად კი განაშენიანება ისე მიმდინარეობს, როგორც მოისურვებთ.

საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები ახლა ბედის ანაბარად არიან მიტოვებულნი. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კოლმეურნეობებში მშენებლობის ორგანიზაციის მთავარი სამმართველო სადირექტივო ორგანოა და ჩვენს საქმიანობაში ჩარევის იურიდიული უფლება არა აქვს. საქმისათვის სასარგებლო იქნება ამ სამმართველოს ბაზაზე შეიქმნას სამეურნეო ანგარიშზე მოქმედი საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების რესპუბლიკური საბჭო, რომელსაც დაეკისრება ამ სამშენებლო ორგანიზაციების ფინანსური და სამეურნეო საქმიანობისადმი ხელმძღვანელობა და კონტროლი. ასეთი საბჭოები წარმატებით მუშაობენ უკრაინისა და რუსეთის მთელ რიგ ოლქებში.

Ა. ᲚᲐᲑᲐᲠᲢᲣᲐᲕᲐ,
ᲒᲔᲒᲔᲭᲙᲝᲠᲘᲡ რაიონის საკოლმეურნეოთაშორისო სამშენებლო ორგანიზაციის საბჭოს თავმჯდომარე.

ᲛᲔᲒᲝᲒᲠᲘᲒᲔᲑᲘ ᲛᲘᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲖᲔ

მეფრინველები ეჯიბრებიან

ᲑᲝᲠᲯᲘ. (ხარკოვის ოლქი). (საკუთარი). უკრაინის მეფრინველეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საცდელ მეურნეობა „ბორკის“ მეფრინველემ ვერა თევდორეს ასულმა სიდორამან ახალ შრომითს წარმატებას მიაღწია. ერთი მილიონი კვერცხის ანგარიშში, რაც მან ნაკისრი ვალდებულებით უნდა მიიღოს წელს 6 ათასი კვერცხსმდებელი ქათმისაგან, რომლებსაც იგი უვლის, უკვე მიიღო 900 ათასი.

წარჩინებული უკრაინელი მეფრინველის გამოცდილების შესასწავლად ბორკში ჩავიდა საქართველოს სსრ სამგორის მეფრინველეობის საბჭოთა მეურნეობის მუშაკთა დელეგაცია.

ამის შემდეგ სამგორის საბჭოთა მეურნეობის საუკეთესო მეფრინველემ კ. კორკოტაშვილმა ვერა თევდორეს ასულთან დადო სოციალისტური შეჯიბრების ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით ვ. სიდორამ იკისრა ვალდებულება შვიდწლედის მეორე წელს უზრუნველყოს 12 ათასი კვერცხსმდებელი ქათმის მოვლა და მიიღოს სულ ცოტა ორი მილიონი ცალი კვერცხი. კ. კორკოტაშვილმა პირობა დადო 1960 წელს 6.000 კვერცხსმდებელი ქათმისაგან, რომლებიც მას აბარია, მიიღოს 1.050 ათასი კვერცხი.

ᲪᲘᲤᲠᲔᲑᲘ ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲝᲑᲔᲡ

ᲪᲘᲢᲠᲣᲡᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲜᲐᲧᲝᲤᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲒᲚᲘᲣᲠᲘ ᲒᲔᲒᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ 1959 ᲬᲚᲘᲡ 1 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲡᲗᲕᲘᲡ

	გეგმა	შესრულება	შესრულების პროცენტი
მანდარინი	**ტონა**		
აფხაზეთის ასსრ	3.430	1.935	56,4
აჭარის ასსრ	20.200	11.252	55,7
მაპარაძის	3.000	1.610	53,7
ლანჩხუთის	190	85	44,7
ხობის	100	50	50,0
ქალაქი ფოთი	10	—	—
ზუგდიდის	70	68	97,1
სულ საქართველოს სსრ	27.000	14.990	55,5
ფორთოხალი			
აფხაზეთის ასსრ	630	147	23,3
აჭარის ასსრ	1.500	—	—
მახარაძის	850	—	—
ლანჩხუთის	20	—	—
სულ საქართველოს სსრ	3.000	147	4,9
ლიმონი ათას ცალობით			
აფხაზეთის ასსრ	6.000	1.241	20,7
აჭარის ასსრ	8.600	—	—
მახარაძის	3.000	1.447	48,2
ლანჩხუთის	320	—	—
ქალაქი ფოთი	1.060	307	30,7
ხობის	30	32	106,7
ზუგდიდის	50	—	—
სულ საქართველოს სსრ	19.000	3.036	16,0

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲐᲛᲭᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ.

2.400 კილოგრამი რძე ერთ ძროხაზე! — იკისრა გაგრის რაიონის სოფელ სალეს სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის მწველავმა ლიზა ლეკსიმ, როცა ვალდებულებას იღებდა.

პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესების შედეგად მოწინავე მწველავმა ლ. ლეკსიმ მოსავლელად მიჩენილი 13 ძროხიდან თვითეულზე უკვე მიიღო 2.500 კილოგრამი რძე.

მეცხოველეობის ფერმის მწველავი ამხ. ლეკსი ამით როდი კმაყოფილდება. მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მოახლოება შვიდწლედის ახალი ზღუდეების ასაღებად რაზმავს კოლმეურნეებს, ლიზა ლეკსი ენერგიულად იბრძვის იმისათვის, რომ დეკემბერი მაღალნაყოფიერად გამოიყენოს და ძროხის წველადობა აიყვანოს 2.700 კილოგრამამდე, ხოლო კოლმეურნეობა მთლიანად შვიდწლედის პირველ წელს მიიღებს 125 ტონა რძეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 100 ტონისა.

ფოტო ნ. ჯიმიდავესი (საქდესის ფოტოქრონიკა).

ᲐᲠᲘᲡ ᲙᲘ ᲔᲡ ᲖᲦᲕᲐᲠᲘ?

ᲨᲠᲝᲛᲐ დამიფასდა. წელს 0,60 ჰექტარ ფართობზე 1.369 კილოგრამი თამბაქო მოვიყვანე. ვალდებულება კი ათას კილოგრამს ითვალისწინებდა.

არის კი ეს ზღვარი? სრულებითაც არა, ორჯერ ამაზე მეტის მიღება შეიძლება. მივიღებთ კიდეკაც. საამისოდ აქედანვე ვემზადებით. ვახორციელებთ კვალსათბურების რემონტს, ვიმარაგებთ სასუქებს და სხვ. მშობლიური კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმს ახალი თვალსაჩინო მიღწევებით შეეხვედებით.

Ი. ᲒᲐᲯᲐᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲚᲐᲒᲝᲛᲘᲓᲘᲡ რაიონის სოფელ ხაქობის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის“ მეთამბაქეე.

ტექნიკრება ჯ ტექნიკა

შენოგეგს მექანიზმები აწყოგენ

საბჭოთა სამშენებლო ტექნიკის განვითარების უმნიშვნელოვანესი ტენდენცია ის არის, რომ გადავაქციოთ ნაგებობათა მშენებლობა ქარხნებში დამზადებული დიდი ზომის ელემენტებისაგან მათი აწყობის მექანიზებულ ნაკადურ პროცესად, აკაწყოთ შენობები ისე, როგორც, ვთქვათ, მანქანებს აწყობენ. მშენებლობის ამ პროგრესულმა ინდუსტრიულმა მეთოდმა სხვადასხვა ფორმით უკვე პოვა გამოყენება პრაქტიკაში. ერთი-ორი წლის შემდეგ საბინაო მშენებლობა სწორედ ამ მეთოდით განხორციელდება. ყველა დიდი ელექტროსადგური, რომელთა მშენებლობა გათვალისწინებულია შვიდწლიანი გეგმით, ასაწყობი რკინაბეტონისაგან აიგება. შვიდწლედში გათვალისწინებულია დამთავრდეს მიწისა და ბეტონის სამუშაოების კომპლექსური მექანიზაცია, დღის წესრიგშია სამშენებლო სამუშაოების ავტომატიზაციის საკითხი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმის დადგენილებაში მითითებულია, რომ მშენებლობის დაჩქარებისა და გაიაფების მიზნით სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად განსაკუთრებით ფართოდ უნდა დაინერგოს რაციონალური სამშენებლო კონსტრუქციები. სამშენებლო მეცნიერების მიღწევების საფუძველზე შეიძლება გამოინახოს ყველაზე ხელსაყრელი კონსტრუქციული ფორმები და კონსტრუქციებში მასალის ყველაზე ხელსაყრელი განაწილება. მაგრამ ეს ცოტაა. შემდგომში აუცილებელია გავამარტივოთ და ტიპური გავხადოთ კონსტრუქციები. მაშინ მივიღებთ შემსუბუქებულ კონსტრუქციებს, რომლებიც მასალის ნაკლებ ხარჯს მოითხოვს, ამასთან იაფი დაგვიჯდება და ინდუსტრიული მეთოდით მათ გაცილებით უფრო სწრაფად დავამზადებთ, ვიდრე იმავე დანიშნულების სხვა კონსტრუქციებს. მშენებელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა მშენებლობებზე გამოიყენონ მხოლოდ ასეთი, ნამდვილად რაციონალური კონსტრუქციები.

რაციონალური სამშენებლო კონსტრუქციების დაპროექტებისათვის აუცილებელია ვიხელმძღვანელოთ თანამედროვე სრულყოფილი მეთოდებით.

მშენებლობაში ზედმეტობის წინააღმდეგ, მშენებლობის გაიაფებისა და დაჩქარებისათვის ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი აკისრია ნაგებობათა თეორიას.

სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმის შესაბამისად ჩვენს ქვეყანაში ფართო ფრონტით წარმოებს მუშაობა ნაგებობათა თეორიის დარგში. მრავალ სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებას ამ მხრივ დიდი მიღწევები აქვს. ნაგებობათა თეორიის განვითარებისათვის ცოტა რამ როდია გაკეთებული თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში. ამჟამად ინსტიტუტის მეცნიერ მუშაკთა კოლექტივი განაგრძობს მუშაობას, რომელიც მიმართულია ჩვენი მშენებლების ყველაზე აქტუალურ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

უახლოეს წლებში საბჭოთა კავშირში და კერძოდ საქართველოში აიგება მთელი რიგი მაღალთაღოვანი და გუმბათისებური კაშხალები. ასეთი ნაგებობები სამშენებლო ტექნიკის საუკეთესო მიღწევათა რიცხვს მიეკუთვნება. თანამედროვე კონსტრუქციული ფორმა („გარსხა" ტიპისა) საშუალებას იძლევა

ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲢᲔᲚᲔᲡᲙᲝᲞᲘ

ლენინგრადი. ოპტიკურ-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა დამთავრა შიდატის სისტემის უდიდესი საბჭოთა ფართოეკუთხიანი სარკიან-ლინზიანი ტელესკოპის აწყობა.

ტელესკოპი 30-მდე ტონას იწონის. მას 1.300 მილიმეტრი დიამეტრის სარკე და 1.000 მილიმეტრი დიამეტრის საკორექციო ლინზა აქვს. ფართოეკუთხიანი ოპტიკის მეოხებით შეიძლება განხორციელდეს ცის დიდი არეების ერთდროული ფოტოგადაღება. სპეციალური მექანიზმები ავტომატურად ახდენენ ფოტოგრაფირებისა და სპექტროგრაფირებისათვის კასეტების საჭირო ადგილას ჩადგმას, გათვალისწინებულია ორიგინალური მოწყობილობა ვარსკვლავების სპექტროგრაფიული კვლევის დროს საჭირო სპექტრის გასაფართოებლად.

ტელესკოპის მართვა პულტიდან ხორციელდება და მთლიანად ავტომატიზებულია. ორი დამატებითი მილი, ეგრეთწოდებული გიდები, შესაძლებელს ხდის ხელსაწყოს სწორი სვლისათვის კონტროლის გაწევას. ამისათვის ტელესკოპი მოიმართება ფოტოგადასაღები არეს ერთ-ერთ ვარსკვლავზე. ტელესკოპს გადახრებს ასწორებს დისტანციური მართვა მექანიზმებისა, რომლებიც საჭირო მიმართულებით მიაბრუნებენ ტელესკოპს.

ᲣᲐᲮᲚᲔᲡᲘ, ᲣᲛᲫᲚᲐᲕᲠᲔᲡᲘ

ხარკოვის მძიმე ელექტრომანქანათმშენებლობის ქარხანაში შექმნილია 200 ათასი კილოვატი სიმძლავრის ტურბოგენერატორი, რომლის როტორის და სტატორის გრაგნილთა შიდა გაცივება წყალბადით ხდება.

ახალი მანქანა მაღალი ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლებით ხასიათდება. კილოვატ სიმძლავრეზე მასალების ხვედრითი ხარჯი ამ ტურბოგენერატორზე 42 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში წინათ გამოშვებული 150 ათასი კილოვატი სიმძლავრის გენერატორებზე.

ახალ ტურბოგენერატორს ქარხნის გამოსაცდელ სტენდზე იკვლევენ. ამავე დროს სრული სისწრაფით წარმოებს მუშაობა ორას-ორასი ათასი სიმძლავრის მეორე და მესამე მანქანის ასაგებად.

ᲒᲐᲛᲝᲗᲕᲚᲐᲡ ᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲡ ᲛᲐᲜᲥᲐᲜᲐ

მოსკოვი. სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრი. აქ დიდი მუშაობა წარმოებს სხვადასხვა მათემატიკური ამოცანების ფართო წრის ამოსახსნელად.

ელექტრონული გამოსათვლელი მანქანა ბესმ-2 ისეთი სიჩქარით მუშაობს, რომელიც წამში რვა ათას მათემატიკურ ოპერაციას აღემატება. მანქანა არა მარტო ცვლის მრავალ მუშაკს — ხელით სამუშაო მანქანებზე გამომთვლელებს, არამედ აგრეთვე შესაძლებელს ხდის მთელი რიგი ისეთი მეცნიერული პრობლემებისა და ამოცანების გადაწყვეტას, რომლების ამოხსნაც შეუძლებელი იქნებოდა, ასეთი მანქანა რომ არ იყოს.

• • •

ᲡᲣᲠᲐᲗᲝᲑᲖᲔ: ინჟინერი ვ. ვ. ჩიბისოვი თვალყურს ადევნებს ბესმ-2 მანქანის მუშაობას.

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲛᲔᲗᲝᲓᲘᲗ

სახლების მსხვილი პანელებით შენება ყველაზე პროგრესულია ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ამ მეთოდის გამოყენებისას ბევრი დრო და ხელის შრომა იხარჯება ღია ცისქვეშ პანელების აწყობასა და შიდა სათავსების შემდგომ გაწყობაზე.

მოსკოვის მშენებლობებზე მალე პირველად დაიწყებენ ქარხანაში დამზადებული მოცულობითი ელემენტებით (ბინა-ბლოკებით) შენობების აგების ახალი მეთოდის გამოყენებას, რომლის ავტორია არქიტექტორი ე. ს. სმირნოვი. ასეთი სახლის პროექტი შემუშავებულია ინსტიტუტ „მოსპროექტის" № 13 მაგისტრალურ სახელოსნოში.

ხუთსართულიანი შენობა შედგება სამოცი ოროთახიანი ბინა-ბლოკისაგან. ეს ბინა-ბლოკები სრული შიდა გაწყობითა და მოწყობილობით დამზადდება ქარხნების საამქროებში კონვეიერებსა და მაღალი წარმადობის ნაკადურ კონვეიერულ ხაზებზე.

ხუთსართულიანი მსხვილპანელიანი შენობის ასაგებად ახლა საჭიროა ოთხი-ხუთი თვე. ასეთივე სახლი ბინა-ბლოკებით აშენდება მხოლოდ ხუთ სამუშაო ცვლაში. მსხვილპანელიან შენობაშია ათასიდან სამი ათასამდე სამონტაჟო დეტალი, ახალ სახლში კი ისინი 144 იქნება.

დედაქალაქში ბინა-ბლოკებით პირველი საცხოვრებელი სახლი ნავარაუდევია აშენდეს ნოვიე ჩერიომუშკის მე-10 ექსპერიმენტალურ კვარტალში.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ ᲩᲔᲛᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ

ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢ ᲜᲘᲥᲡᲝᲜᲘᲡ ᲡᲢᲐᲢᲘᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲨᲘ ᲛᲝᲒᲖᲐᲣᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ნიუ-იორკი, 9 დეკემბერი. (საკდესი). პოპულარულმა ყოველთვიურმა ჟურნალმა „ნეიშნლ ჯეოგრეფიკ მეგეზინმა" დეკემბრის ნომერში გამოაქვეყნა ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტის რ. ნიქსონის ვრცელი სტატია სათაურით „რუსეთი ჩემი თვალით". სტატია ძირითადად ეძღვნება ნიქსონის შთაბეჭდილებებს საბჭოთა კავშირში მისი მოგზაურობის შესახებ.

აღნიშნავს რა საბჭოთა ხალხის მისწრაფებას „მოიპოვოს საუკეთესო ცხოვრება და მეტი სიუხვე" და გაუსწროს შეერთებულ შტატებს ეკონომიურად, ნიქსონი წერს: „ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პრემიერ ხრუშჩოვის მისწრაფებამ, მისმა მტკიცე რწმენამ საბჭოთა კავშირის უდიდესი რეზერვების მომავალი განვითარებისადმი, საბჭოთა ხელმძღვანელების, ისევე როგორც საბჭოთა ხალხის, მტკიცე მისწრაფებამ გამოიყენონ ეს რეზერვები".

ვიცე-პრეზიდენტი აღნიშნავს, რომ „საბჭოთა კავშირის მისწრაფება მიაღწიოს უკეთეს და უფრო მდიდარ ცხოვრებას იძლევა... დიდი იმედის საბაბს", რადგან „ასეთი ცხოვრება შეიძლება გაიფურჩქნოს მხოლოდ მშვიდობისა და ქვეყნებისა და ხალხების ურთიერთთანამშრომლობის ვითარებაში. ლაპარაკობს რა იმაზე, რომ ბევრმა რამემ საბჭოთა კავშირში მასზე მოახდინა შთაბეჭდილება, ნიქსონი, კერძოდ, წერს „ახალი შენობების გასაოცარ სიმრავლეზე", განსაკუთრებით მრავალბინიან სახლებზე, რომლებიც მან ნახა აეროდრომიდან მოსკოვში მგზავრობის დროს. ეხება რა თავის მოგზაურობას ნოვოსიბირსკში, ვიცე-პრეზიდენტი აცხადებს: „ეს არის დინამიკური ქალაქი, მომავლის მშვენიერი ქალაქი, რომელიც დიდი გულითადობით გამოირჩევა".

ასწერს რა თავის მოგზაურობას ნოვოსიბირსკსა და სვერდლოვსკში, ამერიკის შეერთებული შტატების ვიცე-პრეზიდენტი აკვლავ უბრუნდება საკითხს საბჭოთა კავშირის მისწრაფების შესახებ გაუსწროს ამერიკის შეერთებულ შტატებს წარმოების დონის მხრივ. „არ შეიძლება არავითარი შეცდომის დაშვება ამ მხრივ, — წერს იგი. — დღეს ჩვენ, შესაძლებელია, საბჭოთა კავშირზე მნიშვნელოვნად უფრო წინ მივდივართ ავტომატიკაში, საწარმოო სიმძლავრესა და კაპიტალურ მოწყობილობაში, მაგრამ საბჭოთა კავშირი იღებს თითქმის ზეადამიანურ ღონისძიებებს, რათა დაგვეწიოს და კიდევაც გაგვისწროს. იგი ამ ამოცანებს განსაკუთრებული სერიოზულობით ეპყრობა".

ნიქსონი სტატიის დასასრულს მოკლედ ეხება საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობას საერთოდ და აცხადებს, რომ საჭიროა ღია ვიქონიოთ ყველა არსებული არხი ორივე ქვეყნის ურთიერთობისათვის. „არ უნდა ვიქონიოთ არავითარი ილუზია, — აცხადებს იგი, — და ვიფიქროთ, რომ ურთიერთგაგება — მეგობრობისა და კეთილი ნების გამოჩენა, მისწრაფება მშვიდობისადმი, რასაც მსოფლიო კომუნიზმის ხელმძღვანელები გამოთქვამენ, და პრეზიდენტისა და პრემიერ ხრუშჩოვის ვიზიტების გაცვლაც კი — უეცრად გადაჭრის ყველა უთანხმოებას, რომლებიც კომუნისტებსა და თავისუფალ სამყაროს ყოფენ.

მაგრამ ამავე დროს საჭიროა გვახსოვდეს შემდეგი: თუმცა ურთიერთგაგება თავისთავად ვერ უზრუნველყოფს მშვიდობას, გაუგებლობას შეუძლია გამოიწვიოს ომი — ომი ანგარიშში მოტყუების შედეგად ან ისეთ მკაცრ პოზიციებზე თანდათანობით გადასვლის შედეგად, რომ ძალის გამოყენება შეიძლება გარდუვალი გახდეს".

„ასეთი მდგომარეობა რომ თავიდან ავიცილოთ, — განაგრძობს ნიქსონი, — ღია უნდა ვიქონიოთ ურთიერთობის ყველა არსებული არხი, დავიწყოთ სერიოზული და მოთმინებით მოლაპარაკება და ამასთან მუდამ შევინარჩუნოთ უცვლელი სიმტკიცე ძირითად პრინციპებში".

ამასთან ერთად ნიქსონის სტატია მოკლებული არ არის „ცივი ომის" პერიოდის მტკიცებებს, როგორიც არის ჭორები „საბჭოთა პოტენციური მუქარის", „რკინის ფარდის" შესახებ და სხვ.

ᲠᲝᲛ ᲓᲐᲘᲞᲧᲠᲝᲜ ᲙᲝᲡᲛᲝᲡᲘ

ჰაგა, 8 დეკემბერი, (საკდესი). ანპის სააგენტო იუწყება, რომ კოსმოსის კვლევის საერთაშორისო კომისიამ, რომელშიც შედიან საბჭოთა კავშირი, შეერთებული შტატები და მთელი რიგი სხვა ქვეყნები, მიიღო ახალი წესდება.

წესდება ითვალისწინებს აღმასრულებელი საბჭოს შექმნას, რომელშიც შევლენ თვითეული ქვეყნის წარმომადგენლები, აგრეთვე ბიუროს შექმნას 7 კაცის შემადგენლობით. (ამასთან, ვიცე-პრეზიდენტების 2 ადგილი განკუთვნილია საბჭოთა კავშირისა და შეერთებული შტატების წარმომადგენლებისათვის). კომისიის პირველი სხდომა მოეწყობა საფრანგეთში 1960 წელს.

ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲗᲐ ᲒᲝᲚᲓᲔᲒᲐ

„ირანი ერთ-ერთი ქვეყანაა, სადაც ცხოვრების ყველაზე დაბალი დონეა მსოფლიოში. იქ, ისევე როგორც აზიის ბევრ სხვა ქვეყანაში, კვება ძნელი პრობლემაა, და ზოგჯერ გამოთქმა „შიმშილით სიკვდილი" პირდაპირი მნიშვნელობით უნდა გვესმოდეს". ეს სიტყვები ეკუთვნის ფრანგული ბურჟუაზიული გაზეთის „ფიგაროს" კორესპონდენტს მაქს კლოს, რომელმაც ამას წინათ იმოგზაურა ირანში.

ირანში ცხოვრების მძიმე პირობები უწინარეს ყოვლისა იმის შედეგად შეექმნა, რომ მისი მმართველი წრეები ახორციელებენ აგრესიულ სამხედრო კავშირებში მონაწილეობისა და თავიანთი ქვეყნის იკონომიკის იმპერიალისტურ სახელმწიფოთა მონოპოლიებისათვის დამორჩილების პოლიტიკას. ეს არის აგრეთვე იმის მიზეზი, რომ ირანი — ახლო აღმოსავლეთის საკმაოდ დიდი სახელმწიფო — 20-მილიონიანი მოსახლეობით — დღემდე წარმოადგენს ჩამორჩენილ აგრარულ ქვეყანას, რომელსაც სუსტად განვითარებული მრეწველობა აქვს.

ირანის მოსახლეობის სამ მეოთხედზე მეტი მუშაობს სოფლის მეურნეობაში, რომელშიც ჯერ კიდევ ფეოდალური ურთიერთობა სჭარბობს. დასამუშავებელ ვარგისი მიწების 56-მდე პროცენტი ერთ მუჯა მსგავ მემამულეთა ხელშია, რომლებიც ამ ქვეყნის სოფლის მოსახლეობის მხოლოდ ერთ პროცენტს შეადგენენ. გლეხთა ოჯახების 60 პროცენტი მოკლებულია მიწას და იძულებულია კაბალურ პირობებში იჯარით იღებდეს მას მემამულეებისაგან.

ირანელი გლეხები განსაკუთრებით მძიმე პირობებში ცხოვრობენ. თეირანის უნივერსიტეტის პროფესორი კ. სანჯაბი თავის წიგნში ირანის ეკონომიის შესახებ ასე გვიხატავს გლეხის ყოფაცხოვრებას: „ვაკეებზე მდებარე სოფლები ადამიანის ყოველად ღატაკური საცხოვრებლის სურათს წარმოადგენენ. ამ სოფლებში თიხისა და ხისაგან აშენებული სახლები ძალიან დაბალია, ფანჯრები არა აქვს, მხეცის ბუნაგს უფრო ჰგავს, ვიდრე ადამიანის საცხოვრებელს. შუქი, ჰაერი და მზე მათში აღწევს მხოლოდ ბაწში დატანებული პაწაწკინტელა ნახვრეტიდან, რომელიც ამავე დროს კვამლსადენსაც წარმოადგენს. ადამიანები და შინაური პირუტყვი ხშირად ერთად არიან მოთავსებული, უტიხროდაც კი".

უცხოელი მეთვალყურენი აღნიშნავენ, რომ ირანის მოსახლეობის გაჭირვებული მდგომარეობა პარადოქსს წარმოადგენს იმ სიმდიდრეთა ფონზე, რომლებიც ირანის წიაღში იფარება. მართლაც, ირანს სასარგებლო წიაღისეულის — ნავთობის, ბუნებრივი გაზის, რკინის მადნის, ქვანახშირის, ფერადი ლითონების დიდი მარაგი აქვს. განსაკუთრებით მდიდარია ირანი ნავთობით. ნავთობის მარაგი, უცხოელ სპეციალისტთა შეფასებით 4,3 მილიარდ ტონას შეადგენს. მაგრამ ამ სამდიდრეო იყენებენ არა ირანელი ხალხის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად, არამედ უცხოეთის ნავთობის მონოპოლიების გასამდიდრებლად. 50 წლის განმავლობაში ირანის ნავთობს ფლობდა ინგლისელი კაპიტალისტების მიერ შექმნილი ინგლის-ირანის ნავთობის კომპანია, რომელიც საბადოთა ექსპლოატაციას ეწეოდა ირანის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ირანში ანტიიმპერიალისტური მოძრაობის გაძლიერების შედეგად 1951 წელს მთავრობამ მოახდინა ნავთობის ძრწეველობის ნაციონალიზაცია, გაუქმა ინგლის-ირანის ნავთობის კომპანიის კონცესია. მაგრამ იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა არ მოისურვეს შერიგებოდნენ ირანის ნავთობის დაკარგვას. ყოველნაირი მანევრებისა და ხრიკების საშუალებით ეცხოთის კაპიტალმა მოახერხა 1954 წელს კვლავ მიეღო კონცესია ირანის ნავთობის მოპოვებაზე. ამჯერად შეიქმნა ეგრეთწოდებული ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმი, რომელშიც აქციების 40 პროცენტი ეკუთვნის ამერიკის მონოპოლიებს, 54 პროცენტი — ინგლისისა და ინგლის-ჰოლანდიის კაპიტალს და 6 პროცენტი — ფრანგ კაპიტალისტებს.

როგორც ცხოვრებამ დაგვანახვა, საერთაშორისო კონსორციუმის საქმიანობა დამღუპველ გავლენას ახდენს ირანის ფინანსურ მდგომარეობაზე. მაშინ როცა კონსორციუმის მიერ 1958 წელს მოპოვებული 40 მილიონი ტონა ნავთობის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა 450 მილიონი დოლარი შეადგინა, ირანის ბიუჯეტის დეფიციტი 1959-1960 საფინანსო წელს, გაზეთ „ეთელაათის" ცნობით, მარტო ნავთობისაგან შემოსავლის შემცირებით 200 მილიონი თუმანი იქნება. ნავთობის საერთაშორისო კონსორციუმის უდიდეს მოგება მიღებულია ირანელ მუშათა ულმობელი ექსპლოატაციის გზით. გაზეთი „ფოსტე თეჰრანი" წერდა, რომ კონსორციუმის ნავთობის სარეწებში მუშები ღატაკურად ცხოვრობენ, შეკვრობას განიცდიან კონსორციუმისაგან, რომლის ადმინისტრაცია მათ „უფრო ცუდად ექცევა, ვიდრე მონებსა და ყმებს". კონსორციუმის სამმართველო პერსონალს აგდებულ დამოკიდებულებას ირანელი მენავთობე მუშებისადმი სავეკრო-ეკონომიური ბიულეტენი „ირან პრესიც" აღნიშნავდა.

უცხოეთის მონოპოლიების საქმიანობა დამღუპველ გავლენას ახდენს ირანის ეკონომიურ განვითარებაზე. მაგრამ ირანის გარკვეული წრეები ცდილობენ კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირონ თავიანთი ქვეყნის ბედი იმპერიალისტურ სახელმწიფოთა პოლიტიკას. ამ მიზანს ემსახურება, კერძოდ, აგრესიულ სამხედრო კავშირებში ირანის მონაწილეობისა და ქვეყნის მილიტარიზაციის პოლიტიკა. როგორც ცნობილია, ირანი სენტოს სამხედრო პაქტის (ყოფილი ბაღდადის პაქტი) მონაწილეა. წელს კი მან სამხედრო შეთანხმება დადო ამერიკის შეერთებულ შტატებთან. ირანის პრესა ალნიშნავდა, რომ ამ შეთანხმების შესაბამისად ამერიკის შეერთებულ შტატებს უფლება აქვთ ირანის „თავდაცვის" საბაბით თავიანთი ჯარები შეიყვანონ ამ ქვეყანაში და შექმნან იქ თავიანთი სამხედრო ბაზები ამჟამად ირანში დიდი მასშტაბებით წარმოებს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების მშენებლობა, ხოლო ირანელი ოფიცრები ოკეანესგაღმელ ინსტრუქტორთა ხელმძღვანელობით ამერიკული იარაღის უახლეს ტიპებს სწავლობენ. სამხედრო მშენებლობა და ირანის არმიის წვრთნა ხორციელდება ამერიკის სამხედრო მისიის კონტროლით, რომელშიც 4.600 კაცი ირიცხება.

ეკონომიკის მილიტარიზაცია მძიმე ტვირთად აწვება მშრომელებს. სამხედრო ხარჯები ქვეყნის ბიუჯეტის 50 პროცენტს შეადგენს. გარდა ამისა, ირანის მცხოვრებლებმა უდიდესი თანხები უნდა გადიახადონ ამერიკის სამხედრო სესხების დაფარვის ანგარიშში. ოფიციალური მონაცემებით, წელს ასეთი გადასახდელები 52 მილიონი დოლარი იქნება, ხოლო 1960 წელს — 65,5 მილიონი დოლარი; ნამდვილად ეს თანხა, როგორც ირანის პრესა იუწყება, 90 მილიონი დოლარი იქნება. თუ გავითვალისწინებთ, რომ გადასახადი შემოსავალზე ირანის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენს, დანარჩენი 90 პროცენტი კი უბრუნველყოფილია არაპირდაპირი გადასახადებით, რომელსაც მშრომელთა ფართო მასები იხდიან, შეიძლება ითქვას, რომ ირანელ ხალხს კიდევ უფრო მძიმე საგადასახადო ტვირთი დააწვებოდა, ვიდრე ახლა.

უდიდესმა სამხედრო ხარჯებმა უკვე გამოიწვია ინფლაცია. მიმდინარე წლის აპრილ-მაისში ირანის ეროვნულმა ბანკმა ფულის იმ ნიშნების დამატებით, რომლებიც ბრუნვაშია, კიდევ გამოუშვა 500 მილიონი რიალი. ამის შედეგად საქონლისა და კვების პროდუქტების ფასები ძლიერ გაიზარდა. „ფასები ყოველდღე იზრდება, — აღნიშნავდა ჟურნალი „ფირდოუსი", — და ხალხი ხედავს, რომ მისი ცხოვრება სულ უფრო უარესდება".

დემოკრატიული თავისუფლებები ირანში ფაქტიურად არ არსებობს. პროგრესული პარტიებისა და ორგანიზაციების მოღვაწეობა აკრძალულია. ირანში არსებული პარტიები „მარდომი" და „მელიუნი" გ.-ბატონებული კლასებისა და უცხოელ კაპიტალისტების ინტერესებს იცავენ. ამ პარტიებში ძლიერდება ხალხის უკმაყოფილება ირანში არსებული მდგომარეობით. „საკმარისია რამდენიმე დღე დაყოთ ამ ქვეყანაში, — წერს ამერიკული ჟურნალის „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტის" კორესპონდენტი, რომელიც ამ ზაფხულს იყო ირანში, — რათა დარწმუნდეთ, რომ აქ ყველაფერი რიგზე ვერ არის. გაისმის დრტვინვა, რომელიც გამოწვეულია დემოკრატიულ თავისუფლებათა უქონლობით და მზარდი განსხვავებით მდიდართა და არსებობის საძაულებს მოკლებულ მლიონობით უბრალო ადამიანთა ცხოვრების დონეს შორის".

ხალხის უკმაყოფილების გამოხატულება იყო, კერძოდ, თეირანის აგურის ქარხნების 30 ათასი მუშის ამას წინათ მოხდარი დიდი გაფიცვა. გაფიცულნი ხელფასის მომატებას მოითხოვდნენ ამ ამბავმა ცხადყო, რომ ირანის მშრომელები სულ უფრო გაბედულად გამოდიან თავიანთი ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მოთხოვნით. ამასთან ერთად მათ სურთ, რომ ირანი დაადგეს დამოუკიდებელი ეკონომიური განვითარების გზას, მშვიდობისა და ყველა ქვეყანასთან მეგობრობის გზას.

ამის მკაფიო დადასტურება იყო ირანის პარლამენტის გამოხმაურება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვაზე „ყველა ქვეყნის პარლამენტებისადმი" განიარღების საკითხის შესახებ. ირანის სენატის თავმჯდომარემ სადრ-ოლ-აშრაფმა მიმართვის განხილვისას სენატში განაცხადა: „ჩვენ ამ მიმართვას უნდა მივესალმოთ ამ სტატიის სრული მნიშვნელობით და განვმარტოთ იგი როგორც მთელი მსოფლიოს ხალხთა ბედნიერების უზრუნველყოფის საშუალება". სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მიმართვა, წერდა გაზეთი „ეთელაათი", „შეიცავს მხოლოდ იმ კარგს, რაზეც ოცნებობენ და რაც სურთ ირანელ ხალხსა და მსოფლიოს ყველა ხალხს".

ირანელ ხალხს, ისევე როგორც მსოფლიოს ყველა ხალხს, საერთაშორისო ვითარების ძირეული გაუმჯობესება სურს და მოესალმება ჩვენი ქვეყნის ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ამ ამოცანის გადაჭრისაკენ.

დ. კასატკინი.

ᲥᲝᲠᲬᲘᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲔᲑᲘ ᲓᲐᲯᲓᲔᲑᲐ

ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘᲡ ᲒᲕᲔᲠᲓᲘᲗ ᲡᲣᲗᲔᲕᲡ ᲡᲘᲚᲐᲠᲘᲫᲔ, ᲡᲘᲡᲚᲚᲘ, ᲪᲠᲔᲛᲚᲔᲑᲘ

ᲔᲠᲗ ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠ ᲗᲣᲗᲐᲓᲔᲡ (1959 წ.) ირანის პრინცესა სჰანაზმა, ირანის შაჰის ქალიშვილმა პირველი ქორწინებიდან, თავის ორმოცი წლის მამას წარუდგინა მეგობარი: 21 წლის სტუდენტი ქალიშვილი ფარაჰ დიბა. მან ეს გააკეთა იმ ფარული სურვილით, რომ იქნება მამას მისი მეგობარი მოსწონებოდა. მამაც წამოიგო ანკეტზე. მან მოიპატიჟა ფარაჰი საკუთარ თვითმფრინავზე სასეირნოდ და სწორედ ოქროსფერი უდაბნოს თავზე რამდენიმე ასეული მეტრის სიმაღლეზე ჰკითხა მას: „გახდები ჩემი ცოლი?" მას შემდეგ, რაც ფარაჰმა წაიჩურჩულა „დიახ", მანქანა ისევ ძირს დაეშვა. შაჰმა გაიღიმა, და ფარაჰმა თავის ერთ-ერთ მეგობარს მიაძახა: „ახლა უნდა მითხრა უდიდებულესობავ!"

ასე ან ამის მსგავსად ხატავს კაპიტალისტური პრესა შაჰის — რეზა ფეხლევის — ახალ და მესამე ბედნიერებას, და განა ეს გულისამაჩუყებელი არ არის? ფარაჰი გაემგზავრა პარიზს, რეპორტიორებმა მას აქ მიაგნეს და დასდევდნენ დუარიდან, სადაც მან ტანსაცმელი შეაკერინა, თმის ოსტატ კარიტამდე, რომელმაც მას თმის ფარცხნილობა გაუკეთა. გარეგნულად იმპერატორის მეუღლე — ასე დაბრუნდება თეირანში. პირდაპირ ზღაპრულია! სიხარულისაგან კაცს თვალები დაეზამება. „ჭორწინება მილიონები დაჯდება" ამ სათაურით აქვეყნებენ მასალებს გაზეთები.

ჟურნალიდან „ნოიე ბერლინერ ილუსტრირტე", № 48.



ᲘᲠᲐᲜᲔᲚᲘ გლეხების ხვედრია მონური შრომა. არც მიწა, არც საქონელი მათ არ ეკუთვნით. მათი საკუთრებაა მხოლოდ მიწური ქოხები. აი როგორ აღწერს ირანელი მასწავლებელი ნიშაპურიდან გლეხების მდგომარეობას: „თუ გსურთ იცოდეთ, რა დღეშია ჩვენი ხალხი, ერთი ღამე გაათენეთ ირანელი გლეხის მიწურში. მას ფანჯარა არ გააჩნია. კედელში მხოლოდ რამდენიმე ხვრელია, ოატაკი თიხისაა, კვამლი თვალებს გწვავთ... ჩვეულებრივ მათი 8-10 ბავშვიდან მხოლოდ ორი-სამი რჩება ცოცხალი. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ მთელი მიწის 80 პროცენტი დაახლოებით 2.000 მესაკუთრეს ეკუთვნის. ისინი ფლობენ მანქანებს, წყალს, ხორბალს. გლეხების ჯანმრთელობის მდგომარეობა მეტად ცუდია".

ᲡᲣᲠᲐᲗᲔᲑᲖᲔ: (მარცხნივ) — ირანელი გლეხი, რომელიც მათხოვრობამდეა მიხული; ქვევით — ირანელი პატრიოტების სიკვდილით დასჯა.

(სურათები ამოღებულია გერმანული ჟურნალიდან „ნოიე ბერლინერ ილუსტრირტე" № 48).

ᲒᲐᲜᲐ ᲔᲡᲔᲪ ᲛᲐᲛᲐᲐ?!

ჭიათურაში თითქმის ყოველ დილას და საღამოს შეხედავთ ერთ გამხდარ, მაგვარემან ქალს, რომელიც სამ ცვრიალა ბავშვს დაატარებს. ისინი ვაშაძეების უბნიდან არიან. ქალი პირველი შვიდწლიანი სკოლის მათემატიკის მასწავლელი ეკატერინა ვაშაძეა, ხოლო ბავშვები— მისი შვილები. რომლებიც მამამ მიატოვა. უფროსი გოგონა დოდო მეორე კლასშია და თანაც მუსიკალურ სკოლაში სწავლობს. რუსუდანი და ვალერი ოთხი-ხუთი წლისანი არიან და საბავშვო ბაღში დაჰყავს დედას... ბავშვებს მამის სახელის გაგონებაც არა სურთ. უფროს გოგონას როცა ეუბნებიან — მამათქვენი სანლში უნდა დავაბრუნოთო, იგი თვალზე ცრემლმორეული ამბობს:

—ჩვენ მამა აღარა გვყავს, მიგვატოვა, როცა გამოიკლის, დედას სცემს, ემუქრება — ყვირილში გადაგაგებო. მერე ჩვენ რა გვშველებს?...—ბავშვების ამ სიტყვებმა არ შეიძლება წესიერ ადამიანში სიბრალული და ამავე დროს გულქვა მამას მიმართ გულისწყრომა არ გამოიწვიოს... მაგრამ თავიდან დავიწყოთ.

ამ ცხრა წლის წინათ რა გულწრფელად ეფიცებოდა სიყვარულს ვალერიან ბერვასის-ძე ვაშაძე ფოთელ ქალიშვილს ეკატერინას...

— შევუღლდეთ, სულიერი მეგობრები ვიყოთ, ჩვენი ბედი სამუდამოდ დავუკავშიროთ ერთმანეთს, ჩემი სიყვარული წმინდა და სიტყვა გაუტეხელი იქნება, — ემუდარებოდა ვაჟი ქალიშვილს. მოგეხსენებთ, რა მაცდუნებელი ძალა აქვს ტაბილ სიტყვას... გადაწყდა. ვალერიანი და ეკატერინა 1950 წლის აპრილში დაქორწინდნენ, ოჯახი შექმნეს... ბედნიერად, შეხმატკბილებულად ცხოვრობდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი. ქალი მასწავლებლობდა, ვაჟი — მანქანის მძღოლად მუშაობდა მშენებლობაზე. ერთი წლის შემდეგ ოჯახს ახალი სიხარული და ბედნიერება მ

საერთაშორისო თემაზე

შიში ცუდი მრჩეველია

დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მეთაურის ალენ დალესის გამოსვლისათვის მრეწველთა ეროვნული ასოციაციის ყოველწლიური ყრილობის საბოლოო სხდომაზე ნიუ-იორკში შეიძლებოდა გვეწოდებინა თავისებური „ქება შიშისადმი“. სიტყვები „შუქარა“ და „შიში“ გაბნეულია ვრცელი სიტყვის პირდაპირ ყოველ განყოფილებაში, რომელიც ა. დალესმა მთლიანად მიუძღვნა ორი საზოგადოებრივი სისტემის თანაარსებობისა და შეჯიბრების პრობლემას.

უკანასკნელ დროს დალესი ისე ხშირად გამოდის ამ საკითხზე და ამასთან ისეთ შეშფოთებას იჩენს, რომ უნებურად იბადება აზრი: მის უწყებას ხომ არ მიანდეს კონტროლი კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ისტორიული შეჯიბრების მსვლელობისადმი?

მერე რა აშინებს დალესს, რატომ არის ასე შეშფოთებული მშვიდობიანი ეკონომიური შეჯიბრების პერსპექტივით, რატომ ხედავს იგი შეჯიბრების გრძელ გზაზე მარტო მეჩეჩებს, „საფრთხეს“ და „შიშს“?

თუ ა. დალესის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით ვიმსჯელებთ, ამისათვის მას მეტად ბევრი მიზეზი აქვს. ჯერ ერთი, ბ-ნი დალესი მისი მდგომარეობის ადამიანისათვის იჩენს საკვირველ ნერვიულობას, ურწმენობას, რომ იმ საზოგადოებრივ სისტემას, რომლის წარმომადგენელიც იგია, შესწევდეს სოციალიზმის ქვეყნებთან სამართლიანი და პატიოსნურ საწყისებზე შეჯიბრების უნარი. იგი, მისივე სიტყვებით, წინასწარ ხედავს, რომ „საბჭოთა კავშირის მრეწველობას, რა თქმა უნდა, შეუძლია გაიზარდოს მნიშვნელოვნად უფრო სწრაფად, ვიდრე შეერთებული შტატების მრეწველობას“. აქედან დალესი აკეთებს დასკვნას, რომ შეერთებულმა შტატებმა „ძალა უნდა მოიკრიფოს“.

დალესი, კერძოდ, მოუწოდებს ამერიკის მრეწველობის კაპიტნებს ნუ დაზოგავენ „თავიანთ სქელ, ჩვენს სხეულზე დადებულ ქონის ფენას“. მაგრამ ქონის შელეავა აგრე ადვილი როდია, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც თავისი ცხოვრების მიზნად მისი დაგროვება მიაჩნია. შესაძლებელია, სწორედ ეს აწუხებდეს დალესს.

შემდეგ დაზვერვის ცენტრალური სამმართველოს მეთაურს ის აწუხებს, რომ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყანა, რომლებიც დამოუკიდებელი განვითარების გზას დაადგნენ, ისწრაფვის გამოიყენოს ეკონომიურად უფრო განვითარებული სახელმწიფოების გამოცდილება. აქ მათ წინაშე ისახება შესაძლებლობა შეადარონ დასავლეთის კაპიტალიზმის ორასი წლის განვითარება და საბჭოთა კავშირის განვითარების ხუთჯერ უფრო მოკლე გზა.

დალესს აწუხებს ჭეშმარიტება, რომელიც ამ შედარების შედეგად იბადება. ი ი რას ამბობს თვითონ იგი ამის გამო: „სწრაფი ინდუსტრიალიზაცია არის ახალი და აღმავალი ქვეყნების მიზანი, ისევე როგორც ბევრი უფრო ძველი ქვეყნისა, რომლებიც ჩამორჩნენ მრეწველობის განვითარების მხრივ. არ შეიძლება ასეთი სურვილების საპასუხოდ ვამტკიცოთ, რომ ინდუსტრიალიზაციის ის ტიპი, რომელიც მათ სურთ, უდროოვოა, უგუნური და მეტად ძვირია მათთვის. ისინი სულ ერთია იბრძოლებენ ამ მიზნის მისაღწევად. მათ იზიდავს საბჭოთა კავშირის მაგალითი. მათ იგი მიაჩნიათ ისეთ ქვეყნად, რომელმაც 30 წელიწადში, რაც იმ მომენტიდან გავიდა, როცა რევოლუციური ზრდის სიძნელეები უკან დარჩა, დაახლოებით 1928 წელს, მსოფლიოში მეორე ადგილი მოიპოვა მრეწველობის განვითარების მხრივ. ალმავალ ქვეყნებს შედეგები სურთ. მათ ეს შედეგები ახლავე სურთ“.

ყოველივე ეს აშინებს დალესს, შიშს უნერგავს მას. მას აშინებს სოციალისტური ქვეყნების მზარდი ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა ეკონომიურად სუსტად განვითარებულ სახელმწიფოებთან, რადგან ეს თანამშრომლობა ხელს უწყობს უკანასკნელთა ინდუსტრიალიზაციის ტემპის დაჩქარებას, განამტკიცებს მათ ეროვნულ დამოუკიდებლობას, ნაკლებად ვნებადს ხდის მათ იმპერიალისტური მონოპოლიებისათვის, რომელთაც სურთ სახელმწიფოები თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარონ.

და ბოლოს, ბ-ნ დალესს აშინებს ყველგან მზარდი მოძრაობა მტკიცე მშვიდობისათვის, ცივი ომის ლიკვიდაციისათვის.

მას, კერძოდ, აბრაზებს იმ ლოზუნგების პოპულარობა, რომლებიც მოუწოდებენ მშვიდობისაკენ, მეგობრობისაკენ, თანაარსებობისაკენ. ამ ლოზუნგების ფართოდ გავრცელება დალესს მიაჩნია „კოლაბორაციონ“ იგი მუდამ დამარცხებულა. იმედი ვიქონიოთ, რომ „დაშინების ფაქტორი ქმედითი იყოს“.

მაგრამ შიში ჯერ არასოდეს არ ყოფილა კარგი მრჩეველი. გონებასთან შეჯიბრებაში იგი მუდამ დამარცხებულა. იმედი ვიქონიოთ, რომ აჯერადაც გონება გაიმარჯვებს შიშზე.

ი. ორლოვი.

მუსიკალური კვირეული

პოპერნოსა და სუხორუკოვას კონცერტებზე

დღითიდღე მდიდრდება და ფართოვდება საქართველოს სიმფონიური ორკესტრის რეპერტუარი. ქართული მუსიკალური კულტურის ეს ერთ-ერთი წამყვანი კოლექტივი ახლა უკვე ასრულებს იმ ნაწარმოებებს, რომლებიც ან სულ არ ახმოვანებულა ჩვენს საკონცერტო დარბაზებში, ან შესრულების სირთულის გამო დიდი ხანია დავიწყებას მიეცა. ამ მხრივ მასსალმებელი იყო ამ დღეებში კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამართული კონცერტი (დირიჟორი ზ. ხუროძე), რომლის პროგრამაში შედიოდა ბრამსის, შოსტაკოვიჩისა და რაველის ნაწარმოებები.

დიდი ინტერესით იქნა მოსმენილი ბრამსის მეოთხე სიმფონია, რომელიც თავისი უაღრესად ორიგინალური მუსიკალური დრამატურგიითა და რთული ფსიქოლოგიზმით ერთ-ერთ უძლიერეს სიმფონიად ითვლება ამ ჟანრის ნაწარმოებთა შორის. ორკესტრის მიერ განსაკუთრებით კარგად იყო ნაჩვენები კონტრასტი მგზნებარე ტემპერამენტითა და უზადო მხიარულებით აღსავსე სიმფონიის მესამე (სკერცო) და მეოთხე ნაწილებს შორის. დირიჟორმა შეძლო სიმფონიის მრავალმხრივ ემოციურ ტალღათა (სევდა, რომანტიკული ჭვრეტა, ფილოსოფიური ლირიკა, ლაღი მხიარულება) სახოვანი გადმოცემა. თუმცა შესრულებისას ყოველი ემოციური ნიუანსი გამოვლინდა სათანადო მოლობას აძლევს თავის სასაამოვნო ხმას.

ძნელია შევჩერდეთ მომღერლის მრავალმხრივი რეპერტუარის თვითეულ ნომერზე, მაგრამ უნდა აღვნიშნოთ, რომ ყოველი მათგანი შესრულებული იყო მაღალი ვოკალური და სიმშმსრულებლო ოსტატობით. მიმზიდველი იყო უკრაინელი კომპოზიტორების — ნაიდენენკოსა და მეიტუსის ლირიკული სიმღერები. განსაკუთრებით კი მ ე ი ტ უ ს ი ს რომანტიკული პატარა ბალადა „რობერტ ბერნსის ტექსტზე. ღრმა დრამატიზმით ხასიათდებოდა იოანას პატრიოტული არია ჩაიკოვსკის ოპერა „ორლეანელი ქალწულიდან“. რაც შეეხება ჩაიკოვსკის, გრიგის, შტრაუსის შესანიშნავი რომანსების წყებას, თვითეულ მათგანში მომღერალი ქმნიდა საჭირო განწყობილებას და ოსტატურად ფლობდა ვოკალს. განსაკუთრებით აღსანიშნავია შტრაუსის ნაზი, ჰაეროვანი სერენადა, გრიგის პოეტური „ღამე“, ჩაიკოვსკის ღრმად ფსიქოლოგიური რომანსი „ეარსკვლავები გვინათებდნენ“. მომღერალთან კარგი ანსამბლი შექმნა კონცერტმეისტერმა ლიხმანმა. ჩვენმა მსმენელებმა საბჭოთა ვოკალური სკოლის კიდევ ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი გაიცნეს.

ნანა ქავთარაძე,
მზია რამიშვილი.

სურათზე: მღერის გალინა სუხორუკოვა.

ფოტო ვლ. ზარიძისა.

საგლეხოფოთი

შვეიცარიის პრემიერ-მინისტრის განცხადება

სტოკჰოლმი, 7 დეკემბერი. (საკადესი). სიტყვა წარმოთქვა რა გუშინ ქალაქ მალმში, შვეიცარიის პრემიერ-მინისტრმა ერლანდერმა აღნიშნა საერთაშორისო დაძაბულობის შენელება, რაც ამ უკანასკნელ წელს მოხდა, და განაცხადა, რომ შვეიცარია არ სურს ხელი შეუშალოს მოლაპარაკებას შეიარაღების შემცირების თაობაზე, კერძოდ იმით, რომ მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი ატომური იარაღის დამზადების შესახებ.

ის ფაქტი, თქვა პრემიერ-მინისტრმა, რომ 1958 წლის ნოემბრიდან ატომგუნის იარაღის გამოცდა არ უწარმოებიათ, ცხადყოფს დიდი სახელმწიფოების სურვილს არ შეუქმნან სიძნელენი ყენენის მოლაპარაკებას.

ერლანდერმა განაცხადა, რომ შვეიცარიას დაინტერესებულია შეიარაღების შემცირების შესახებ მოლაპარაკების წარმატებით. ჩვენი შესაძლებლობანი, თქვა მან, გავლენა მოვახდინოთ საერთაშორისო ვითარებაზე არც თუ დიდია. მაგრამ ჩვენს მოვალეობად მიგვაჩნია არ გავაძნელოთ ჩვენი პოლიტიკით მოლაპარაკება, რომლის მიზანია მშვიდობის უზრუნველყოფა და დაძაბულობის შენელება.

პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი დელში ჩავიდა

ქაბული, 9 დეკემბერი. (საკადესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი ეიზენჰაუერი, რომელიც აქ იმყოფებოდა: ხანმოკლე ოფიციალური ვიზიტით, გაფრინდა დელში. ქაბულში ყოფნის დროს პრეზიდენტი შეხვდა მეფე მუჰამედ ზაპირ შაჰს და ავღანეთის ხელმძღვანელ მოღვაწეებს.

დელი, 9 დეკემბერი. (საკადესი) შეერთებული შტატების პრეზიდენტი დ. ეიზენჰაუერი დღეს ოფიციალური ვიზიტით ჩამოვიდა დელში.

რაზე მოილაპარაკეს რომში

კომუნიკე ამერიკა-იტალიის მოლაპარაკების შესახებ

რომი, 6 დეკემბერი. (საკადესი). როგორც ანსას სააგენტო გადმოგვცემს, აქ დამთავრდა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დ. ეიზენჰაუერის მოლაპარაკება იტალიის სახელმწიფო მოღვაწეებთან. გამოქვეყნებულ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ საუბრების დროს განხილულ იქნა მთელი რიგი საერთაშორისო პრობლემები, რომლებიც ურთიერთ ინტერესს წარმოადგენენ იტალიისა და შეერთებული შტატებისათვის.

პრეზიდენტმა გრონკიმ და პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა აზრები გაუზიარეს ერთმანეთს იმ მოგზაურობის შესახებ, რომელსაც ისინი შესაბამისად აპირებენ საბჭოთა კავშირში მომავალ წელს.

შემდეგ გამოთქვეს რა „მტკიცე რწმენა“, რომ მთელი მსოფლიოს მშვიდობა უნდა ემყარებოდეს იმ პრინციპების სრულ განხორციელებას, რომლებიც გამოცხადებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში, ამერიკის შეერთებული შტატებისა და იტალიის ხელმძღვანელებმა იქვე დაადასტურეს, რომ ეხმრობიან ატლანტიკის კავშირს, რომელიც „კვლავ არის მათი ქვეყნების საგარეო პოლიტიკის საფუძველი“.

კომუნიკეში აღიარებულია, რომ საჭიროა გაძლიერდეს დახმარება ეკონომიურად სუსტად განვითარებული ქვეყნებისადმი და გამოთქმულია „მტკიცე მისწრაფება განაბორციელონ პოლიტიკა, რომლის მიზანია მთელ მსოფლიოში შეიარაღების ტვირთის შემსუბუქება“. ამასთან დაკავშირებით ორივე ქვეყნის მთავრობებმა გამოაცხადეს თავიანთი გადაწყვეტილება — ყოველივე გააკეთონ, რაც ძალუძთ, რათა მიაღწიონ იმას, რომ 10 ქვეყნის განიარაღების კომიტეტმა, რომელშიც შედიან იტალია და ამერიკის შეერთებული შტატები, შექმნას განიარაღების პრობლემის მისაღები გადაწყვეტის საფუძვლები.

კომუნიკეში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა ვაჭრობის პრობლემებს. იტალიის პრემიერ-მინისტრმა სენიმ ეიზენჰაუერს აცნობა ღონისძიებანი, რომლებსაც იტალიის მთავრობა იღებს დოლარის ზონასთან ვაჭრობის შემდგომი ლიბერალიზაციის მიზნით. ამავე დროს მხარეებმა განიხილეს იმ დაბრკოლებათა თავიდან აცილების ღონისძიებანი, რომლებიც ხელს უშლიან მსოფლიო ვაჭრობას, და მივიდნენ დასკვნამდე, რომ „საჭიროა მიღებულ იქნეს ამ დარგში დისკრიმინაციული შეზღუდვის ლიკვიდაციის შემდგომი ღონისძიებანი“.

შეთქმულება აფრიკის წინააღმდეგ

ნიუ-იორკი, 8 დეკემბერი. (საკადესი). შეერთებული შტატებისა და ინგლისის მმართველი წრეები, რომლებიც შეაშინა აფრიკის ხალხთა განმათავისუფლებელმა მოძრაობამ კოლონიალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ცდილობენ შეათანხმონ თავიანთი პოლიტიკა, რათა ერთიანი ფრონტით გამოვიდნენ აფრიკელ ხალხების წინააღმდეგ. ამას მოწმობს, როგორც გაზეთ „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსის“ ვაშინგტონელი კორესპონდენტი კუ წერს, ორი სახელმწიფოს დიდი თანამდებობის ოფიციალურ წარმომადგენელთა შეხვედრა ვაშინგტონში, რომელიც 21-23 ნოემბერს მოხდა. „ის ფაქტი, რომ აფრიკის პრობლემების განსახილველად ვაშინგტონს ჩამოვიდნენ ინგლისის დიდი თანამდებობის ოფიციალური წარმომადგენლები, (ინგლისის მინისტრების სამი თანაშემწე), — აცხადებს კუ, — ნიშნავს დასავლეთის ხელმძღვანელ სახელმწიფოთა ცდას შეათანხმონ თავიანთი გეგმები აფრიკაში“. ისინი ერთმანეთს შეხვდნენ, განაგრძობს კორესპონდენტი, რათა „განიხილონ საჭირის სამხრეთით აფრიკის მიმართ პოლიტიკის ოთხი დიდმნიშვნელოვანი ასპექტი: პოლიტიკური, ეკონომიური, კულტურული და სამხედრო ასპექტები“.

ამასთან იგი აღნიშნავს, რომ აფრიკის გარკვეულ რაიონებში საქმეთა განსახილველად მოწვეულ აყვნენ სამხედრო წარმომადგენლები. ეს შემთხვევითი როდია, წერს კუ, თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ამერიკის ხელისუფლებამ მოლაპარაკების დროს ხაზგასმით აღნიშნეს „ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიული ინტერესები აფრიკაში, განსაკუთრებით მის ჩრდილოეთ სანაპიროზე, რასაც მოწმობს ამერიკის ბაზების არსებობა მაროკოსა და ლიბიაში, აგრეთვე კავშირის სამხედრო ცენტრი ერიტრეაში (ეთიოპიის ნაწილი)“.

შემდეგ კუ აღნიშნავს, რომ ამერიკისა და ინგლისის ოფიციალური პირები „გამოთქვამენ შეშფოთებას“, რომ აფრიკის მოსახლეობის მეღელვარება ბელგიის კოლონია კონგოსა და რუანდა-ურუნდში გავრცელდეს აფრიკის სხვა რაიონებზე. გარდა ამისა, მათ ინტერესებს საკითხი, კონტროლს უწევენ თუ არა აფრიკის კონსერვატიული მოღვაწეების მდგომარეობას აფრიკის კონტინენტის განთავისუფლებულ ტერიტორიებზე.

ქალაქები წყალქვეშ

ტრაგედია ლაჟვარდოვან ნაპირზე

საშინელი უბედურება მოხდა საფრანგეთის ბმელთაშუაზღვის სანაპიროზე. რამდენიმე დღეს კოკისპირულად წვიმდა. წვიმამ მთის პატარა ნაკადულები ბობოქარ მდინარეებად გადაიქცია. ზღვაზე არაჩვეულებრივად ძლიერი ქარიშხალი ამოვარდა. უზარმაზარი ტალღები აწყდებოდა ნაპირს. ტულონიდან მენტონამდე, ლაჟვარდოვანი ნაპირის მთელ მანძილზე არ არის ისეთი ქალაქი ან დაბა, რომელიც ამობოქრებული სტიქიისაგან არ დაზარალებულიყო.

ნიცაში ზღვის წყალმა დაფარა არა მარტო სანაპიროები, არამედ პარალელური ქუჩებიც. განთქმული „პრომენად დეზ-ანგლუ“ კენჭებისა და ქვიშის ერთ მეტრამდე სისქის ფენით დაფარული აღმოჩნდა. ჩაულეწავი არ დარჩენილა არც ერთი ფანჯარა და ვიტრინა, ტალღები ოტელებში, მაღაზიებში, რესტორანებში აჭრებოდა.

მაგრამ მთავარი ტრაგედია მოხდა ფრეჟიუსში — ქალაქ კანის დასავლეთით 60 კილომეტრზე მდებარე ქალაქში, რომლის მოსახლეობა 15 ათასი კაცისაგან შედგებოდა. ეს მოხდა ოთხშაბათ საღამოს. ქარიშხალი უკვე ჩამდგარი იყო. დღე მყუდრო იყო, და მეტი წილი მცხოვრებნი იძინებდნენ, როცა გაისმა ყრუ მზარდი გრიალი. სინათლე ჩაქრა. გრიალი ახლოვდებოდა, და ზოგმა იფიქრა, რომ ქალაქს ბომბავდნენ.

ნამდვილად კი ფრეჟიუსს თავს დაატყდა წყალი მალპასეს გარეკეული კაშხალიდან, რომელიც დაახლოებით 12 კილომეტრ მანძილზე ზემოთ, მთებში მდებარეობს. წყალი საათში 75 კილომეტრი სისწრაფით მოდიოდა და 20 მეტრამდე სიმაღლის ტალღას ქმნიდა. სულ რაღაც 45 წუთში წყალსაცავის 50 მილიონმა კუბურმა მეტრმა წყალმა თავის გზაზე ყველაფერი აღგავა, ხეობა გაანადგურა და ფრეჟიუსი დაფარა.

როგორც მცხოვრებნი ამბობენ, ტალღები სახლებს მუყაოს ხუხულებივით არღვევდა, საუკუნოვან ხეებს ფესვებიანად გლეჯდა. შენობები, მანქანები, სატვირთო ავტომობილები, მეზობელი სამხედრო-საზღვაო საჰაერო ბაზის თვითმფრინავები წყალმა რამდენიმე წუთში ზღვაში გადაყარა. ხოლო როცა ტალღა დავარდა, ყველაფერი, რაც ქალაქისაგან დარჩა, დაფარული აღმოჩნდა ტალახის, მიწის, ნამსხვრევების ღრმა ფენით, რომლის ქვეშაც დამარხული იყო ათობით ადამიანი.

დღეს მეორე დღეა გრძელდება საშველი სამუშაოები. რაც უფრო ფართოდ წარმოიებს ეს მუშაობა, ირკვევა სულ უფრო მეტი მსხვერპლი. უკანასკნელი მონაცემებით, კატასტროფის დროს დაიღუპა 250 კაცი და კიდევ 200 კაცი უკვალოდ დაკარგულად ითვლება. ეს ციფრები საბოლოო როდია. წინასწარი გამოანგარიშებით, მთლიანად დანგრეულია 600 სახლი, გაქრა მთელი უბნები. მაგალითად, მთელი სანაპირო ქუჩა ვერდიუნი წყალმა ზღვაში გადატყორცნა.

საშველი სამუშაოები, რომლებშიც მონაწილეობს 10 ათასი კაცი — ჯარები, მეხანძრეები და მოხალისენი მიდამოების მცხოვრებთაგან — გაძნელებულია იმით, რომ ქალაქის გარმემო დანგრეულია ყველა გზა. წყლის ნაკადმა 200 მეტრი სიგანისა და 7 მეტრი სიღრმის ხრამი გათხარა.

დაჭრილთა და დაზარალებულთა ევაკუაცია, აგრეთვე სურსათის, მედიკამენტებისა და სასმელი წყლის მიწოდება ხდება უმთავრესად ვერტმფრინავებით, რომლებსაც ბაზა აქვთ ნაპირთან მისულ ავიამზიდზე.

გაზეთები სავსეა შემაძრწუნებელი სცენების აღწერილობით. უბედურების ადგილას ადამიანები აქეთ-იქით აწყდებიან და მახლობლებსა და ნათესავებს ეძებენ. დაღუპულთა შორის ბევრი ბავშვია, რომლებიც წყალმა გაიტაცა ან ნანგრევებში მოჰყვნენ ძილის დროს.

რა არის კატასტროფის მიზეზი? ნუთუ მარტო ხანგრძლივი წვიმების ბრალია ის, რომ მალპასეს კაშხალი, რომლის შენებლობა მხოლოდ ხუთი წლის წინათ დამთავრდა, მთლად დაინგრა? რატომ თავის დროზე არ იქნა მიღებული ზომები წყლის დონის დასაწევად? ეს კითხვები მთელ საფრანგეთში გაისმის. გუშინ მთავრობამ სასწრაფო სხდომაზე მიიღო გადაწყვეტილება მოახდინოს გამოძიება. კატასტროფის ადგილას გაემგზავრა კომისია რამდენიმე მინისტრისა და პარლამენტის წევრების შემადგენლობით.

მაგრამ უკვე ახლა პრესა ამხილებს ფაქტებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ კაშხალი აგებული იყო სიმტკიცის საკმაო მარაგის გაუთვალისწინებლად, რომ მშენებლობის დროს დაშვებული იყო „ეკონომია“, რომელიც გავლენა იქონია სამუშაოთა ხარისხზე. დასახელებულია სხვა შესაძლო მიზეზებიც: კაშხალის ახლოს აფეთქების სამუშაოთა წარმოება, წვიმებთან გამოწვეული მეწყერი კაშხალის ახლო ფერდობებზე.

კატასტროფამ მეტად აღელვა ყველა ფრანგი. მოიწყო დაზარალებულთა დასახმარებლად სახსრების შეგროვება. ამაში აქტიურად მონაწილეობენ პრესა და რადიო. გუშინ რადიოთი და ტელევიზიით გადაცემული მოწოდებით საფრანგეთის ყველა მერიაში გვიან ღამემდე მიჰქონდათ შეწირულებანი. მარსელისაკენ მიმავალი ყველა ავტომანქანის შოფრებს ნებაყოფლობით გადაეკვეთ ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლების მიერ შეგროვებული სანები, სამინელი ტომრები და სხვა ქონება.

ხ. ზიკოვი,
„იზვესტიის“ საკ. კორ.

პარიზი, 4 დეკემბერი. (ტელეფონით).
(გაზეთი „იზვესტია“, ნ/XII).

სურათზე: წყლით დაფარული დაბაში.

მუსიკალური ინფორმაციები

ამერიკელ ტენორ ბ. ტალის

რიგა, 8 დეკემბერი. (საკადესი). მსოფლიო ჩემპიონის ოპერიდან მიხეილ ტალმა (ლატვია), რომელიც მონაწილეობას იღებს რიგის საერთაშორისო საჰადრაკო ტურნირში, პირველი დამარცხება განიცადა. დღეს, მესამე ტურის გადადებული პარტიის დამთავრებისას მან ვერ გაუძლო გროსმაისტერ ბ. სპასკის ძლიერ იერიშს და 54-ე სვლაზე დანებდა.

დამახასიათებელია, რომ ჭადრაკის ვირტუოზ მ. ტალს ყველაზე უფრო უძნელდება ბორის სპასკისთან ბრძოლა. მათ შორის გათამაშებული სატურნირო შეხვედრების საერთო ანგარიშია 4:1 ლენინგრადელის სასარგებლოდ.

დაუმთავრებელი პარტიების გათამაშების შემდეგ რიგის ტურნირის ლიდერი ამერიკელი ბ. სპასკი (ლენინგრადი) — 2,5 ქულა.

მსოფლიო პირველობაზე

8 დეკემბერს მოსკოვში, სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გათამაშებულ იქნა მესამე პარტია მატჩისა მსოფლიო ჩემპიონ ე. ბოტვინასა (მოსკოვი) და პრეტენდენტთა ტურნირში გამარჯვებულ ოსტატ კ. ზვორიკინას (მინსკი) შორის.

ხუთი საათის ბრძოლის შემდეგ ეს პარტია გადაიდო მსუბუქი ფიგურების დაბოლოებით, სადაც ზვორიკინას ზედმეტი პაიკი აქვს. მატჩის ანგარიშია 1:1 და ერთი დაუმთავრებელი პარტია. (საკადესი).

ქალთა საჭადრაკო ჩემპიონატი

ლიპეცკი, 9 დეკემბერი. (სპეც. კორ.). საკავშირო ჩემპიონატის ფინიშთან ბრძოლა გამწვავდა.

საინტერესოდ წარიმართა მე-12 ტური. პირველობის გათამაშების ლიდერმა ლ. ვოლპერტმა, რომელიც ჩემპიონატში დაუმარცხებლად გამოდის, ლ. ბელავენცევთან შეხვედრა ყაიმით დაამთავრა. ასეთივე შედეგი იქნა ფიქსირებული ჟ. სკეგინა-ა. კუშნირისა და ზ. ნახიმოვსკაია-ს. როოტარეს პარტიებში.

მწვავე ბრძოლით ხასიათდებოდა ნ. გაფრინდაშვილისა და ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უძლიერესი მოჭადრაკის ო. რუბცოვას პარტია. გაფრინდაშვილმა თავიდანვე აქტიური პოზიცია მიიღო, მისმა ფიგურებმა დაიკავეს მნიშვნელოვანი უჯრედები. ძლიერ ცაიტნოტში ნ. გაფრინდაშვილმა მოწინააღმდეგეს ეტლი შესწირა და შემდეგი სვლებით საშამათო მუქარა შექმნა. 39-ე სვლაზე ო. რუბცოვამ დროს დადააცილა, საათის ალამი დაეშვა და მას დამარცხება ჩაეთვალა.

თ. დმიტრიევამ ძლიერად ჩაატარა პარტია ვ. ტიხომიროვასთან და გათამაშების ცხრილში მორიგი ქულა ჩაიწერა. ნ. ვოიცეხმა მოუგო ა. რუბინჩიკს.

დანარჩენი პარტიები გადაიდო. მ. ტოგონიძეს ა. ვიტკოვსკაიას წინააღმდეგ ზედმეტი პაიკი აქვს. ე. კაკაბაძემ ძლიერ ცაიტნოტში მატერიალური ზარალი განიცადა და უარეს პოზიციაში გადადო პარტია ლ. იაკირთან.

12 ტურის შემდეგ ერთ-ერთ ადგილზე ლ. ვოლპერტი, რომელსაც 12-დან 8,5 ქულა აქვს. თ. დმიტრიევას 11-დან 7 ქულა აქვს.



ე. გელერი. ი. ავერბახი. ბ. გურგენიძე.

გამარჯვებულნი

ე. გელერი, ი. ავერბახი და ბ. გურგენიძე ითამაშებენ ფინალში



ერევანი, 9 დეკემბერი. (სპეც. კორ.). დღეს დილით აქ გათამაშდა ერევნის ნახევარფინალის უკანასკნელ ტურში ვ. ბაგიროვისა და ა. გელერის გადადებული პარტია. კონცერტის გახსნისას აღმოჩნდა, რომ ბაგიროვს ჩაეწერა ისეთი სვლა, რომელიც ა. გელერს ერთი და იგივე ვალის სამჯერ გამეორების სამუშაოლებას აძლევდა და პარტია აღიარებულ იქნა ყაიმად.

ამრიგად, შეიეხო შეჯიბრების ცხრილის უკანასკნელი უჯრედი, უკან დარჩა თითქმის ერთი თვის ხაინტერესო ბრძოლა, გამოვლინდა ფინალში მონაწილე სამეული.

ესენი არიან გროსმაისტერი ე. გელერი (ოდესა), რომელმაც მთელი შეჯიბრება დაუმარცხებლად ჩაატარა და 12 ქულა შეაგროვა, გროსმაისტერი ი. ავერბახი (მოსკოვი, 10.5 ქულა) და ოსტატი ბ. გურგენიძე (თბილისი, 10 ქულა).

მომდევნო ადგილები დაიკავეს და პირველ ათეულში მოხვდნენ: ოსტატი ვ. ბაგიროვი (ბაქო, 9.5 ქულა), ოსტატი ი. კლოვანი (რიგა, 9 ქულა), ოსტატი ი. ნიკოლაევსკი (კიევი, 8,5 ქულა); რვა-რვა ქულით მეშვიდე, მერვე და მეცხრე ადგილები გაიკავეს ოსტატობის კანდიდატმა ე. ჩუკაევმა (ყაზანი), ოსტატმა ბ. გოლდენოვმა (მინსკი) და ოსტატმა ა. ბუსლაევმა (თბილისი); 7 ქულით მეათე ადგილზე გამოვიდა ოსტატი ა. გელერი (ლენინგრადი).

სომხეთის საჭადრაკო ფედერაციის სამახსოვრო პრიზი პირველი ადგილისათვის, აგრეთვე სომხეთის გაზეთ „კომუნისტის“ პრიზი შავებით საუკეთესო შედეგისათვის (5,5 ქულა. 7-დან) და გაზეთ „ავანგარდის“ პრიზი ყველაზე მეტი მოგებისათვის (9) გადაეცა გროსმაისტერ ე. გელერს; გაზეთ „სოვეტაკან ჰაიასტანის“ პრიზი პირველ ხუთ ადგილზე გამოხულ მოჭადრაკეებთან შეხვედრაში უკეთესი შედეგისათვის მიეკუთვნა ი. ნიკოლაევსკის (8 ქულა 5-დან). მანვე მოიპოვა გაზეთ „ფიზკულტურნიკ არმენიის“ პრიზი უკანასკნელ ხუთ ტურში მოპოვებული უკეთესი შედეგისათვის (ხუთიდან 4 ქულა); გაზეთ „ერევნის“ პრიზი ტურნირის საუკეთესო პარტიისათვის გადაეცა ბ. გურგენიძეს ი. კლოვანთან პარტიაში.

* * *

სსრ კავშირის ჭადრაკის ფედერაციის გადაწყვეტილებით ჩვენი ქვეყნის XXVII პირველობის ფინალური ასპარეზობის გახსნა ლენინგრადში ნაცვლად 10-ისა შედგება 25 იანვარს.

გიორგი ლეონიძის იუბილე

მიმდინარე წლის დეკემბერში სრულდება გამოჩენილი ქართველი საბჭოთა პოეტის, აკადემიკოს გიორგი ლეონიძის დაბადების სამოცი წლისთავი.

საქართველოს საბჭოთა მწერლებს კავშირის პრეზიდიუმმა შექმნა საიუბილეო კომისია ირ. აბაშიძის თავმჯდომარეობით.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გაიმართება გიორგი ლეონიძის შემოქმედებისადმი მიძღვნილი სამეცნიერო სესია.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“ 1960-1963 წლებში გამოსცემს გიორგი ლეონიძის რჩეულ თხზულებებს.

დაიწყო ლატარიის მოგებათა მასობრივი გაცემა

1959 წლის 8 დეკემბერს დილიდანვე მშრომელები აუთრაფდებიან ამოწმებდნენ თავიანთ ლატარიის ბილეთებს გაზეთებში გამოქვეყნებული მოგებათა ტირაჟის ოფიციალური ცხრილების მიხედვით. ყველას იმედი ჰქონდა, რომ მოიგებდა „ვოლგას“ ან „მოსკვიჩს“.

დღეს ქალაქ თბილისსა და რესპუბლიკის ბევრი სხვა ქალაქისა და რაიონის შემნახველ სალაროებში დაიწყო მასობრივი გაცემა მოგებებისა საქართველოს სსრ ფულისა და ნივთების 1959 წლის მეოთხე გამოშვების ლატარიის ბილეთების მიხედვით.

რამდენიმე საათის განმავლობაში შემნახველმა სალაროებმა და სავაჭრო ორგანიზაციებმა გააფორმეს ფულისა და ნივთების ათასობით მოგება.

ქალაქ თბილისის კიროვის რაიონის ცენტრალურ შემნახველ სალაროში წარდგენილ იქნა 22122 სერიის ბილეთი № 120, რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „მოსკვიჩი“.

ზედიზედ წარდგენილ იქნა ლატარიის ბევრი ბილეთი, რომლებსაც ხვდა ველოსიპედები, სარეცხი და საკერავი მანქანები, მტვერსასრუტები და სხვ.

პირველ დღეს წარდგენილი არ ყოფილა ლატარიის ყველაზე „ბედნიერი“ ბილეთები, რომლებმაც მოიგეს ავტომანქანა „ვოლგა“, საწოლი ოთახის გარნიტურები, პიანინოები და სხვა დიდი მოგებანი.

მოგებათა გაცემა ყველგან გრძელდება და 1960 წლის 30 ივნისამდე იწარმოებს.

რედაქტორი
დ. მჟედლიშვილი.

თბილისი

10 დეკემბერი

ოპერისა და ბალეტის — „ეროული“ (მე-13 აბონ. მე-4 წარმ.), **რუსთაველის სახელობის** — ყვარყვარე თუთაბერი, **მარჯანიშვილის სახელობის** — ამერიკელი ტრაგედია, **გრიბოედოვის სახელობის** — შორეული გამოძახილი (მე-7 აბონ. მე-2 წარ.), **თოჯინების ქართული** — ზარმაცი